გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№79 (835) 15 - 16 ივლისი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

მხოლოდ 40 თეთრი

შეთქმულება ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ



ვინ და რატომ უწყობს შეთქმულებას ირაკლი ღარიბაშვილს? — ამ კითხვაზე პასუხი, ერთი შეხედვით, მარტივია: ღარიბაშვილი ბიძინა ივანიშვილის ყველაზე ერთგული და საიმედო თანამებრძოლია; ამასთან ღარიბაშვილი, პრაქტიკულად, ერთადერთი ადამიანია, რომელიც პრემიერმა ახლახან ანუ პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ კი არა, წლების წინ გაიცნო... 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე, როგორც კულუარებში ამბობენ, ივანიშვილმა მთელი თავისი ქონების განკარგვის უფლება ღარიბაშვილს გადააბარა — ეს ის დროა, როცა ივანიშვილის შესაძლო ლიკვიდაციაზე ინფორმაციამ გაჟონა.

გვ. 3

ნინო ბურჯანაძე: „7 ნოემბერს ისეთი არაფერი მომხდარა, რაც სხვა ცივილიზებულ ქვეყნებში არ ხდება!“

გვ. 5

რატომაა „დემოკრატიული მოძრაობის“ დიდები დარწმუნებული, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მარგველაშვილს დაამარცხებს

სამართალი

პირველი საგრანტო კონკურსის პირველი პროექტი აჭარელი ბავშვებისთვის

გვ. 9–12

თბილისი „ნატახტარის“ ლუდის ფესტივალს მეოთხედ მასპინძლობს

გვ. 8

სკანდალური ისტორია — როგორ ააშენებინეს ნაციონალებმა ბიზნესმენ გურამ კვირიკაშვილს პრეზიდენტის მესტიის რეზიდენცია 400 00 ლარად

გვ. 6

რა უჯდება ბიუჯეტს სააკაშვილის აპარტამენტების შენახვა

პროკურატურა არაძალადობრივი დანაშაულისას დაკავება-დაპატიმრებისგან თავს შეიკავებს

„პროკურატურა სტანდარტად იღებს, რომ არაძალადობრივი დანაშაულისას თავი შეიკავოს დაკავება-დაპატიმრებისგან, როდესაც ამის კრიტიკული აუცილებლობა არ არის“, — ამის შესახებ მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში წინასწარი პატიმრობისა და გირაოს გამოყენების პრაქტიკის საკითხზე გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.

მისი განმარტებით, აღნიშნული პროცესი მყისიერი არ არის და ამას გარკვეული დრო დასჭირდება, თუმცა საჭიროა საზოგადოების წინაშე საინფორმაციო ხასიათის საქმიანობის ჩატარება, რათა საზოგადოება გათავისუფლდეს ძველი აზროვნებისგან, როდესაც პირის დაპატიმრება ან დაკავება მის დამნაშავეობას ნიშნავდა.

„ჩვენ სტანდარტად ვიღებთ ვისწრაფოთ, არაძალადობრივ დანაშაულზე თავი შევიკავოთ დაკავება-დაპატიმრებისგან, როცა ამის კრიტიკული აუცილებლობა არ არის. შევთანხმდით, რომ საჭიროა საზოგადოების წინაშე საინფორმაციო ხასიათის საქმიანობა, რათა საზოგადოებამ შეძლოს, გათავისუფლდეს ძველი აზროვნებისგან, როდესაც პირის დაპატიმრება თუ დაკავება მის დამნაშავეობას ნიშნავდა. როცა ეს დღეს ასე აღარ არის, ამას ხელისუფლების სისუსტედ მიიჩნევენ, ეს უნდა აღმოიფხვრას“, – განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, შესაძლოა, საქართველოში, ამერიკის შეერთებული შტატების მსგავსად, შეიქმნას სპეციალური სამსახური, რომელიც პირის ბრალდებულად ცნობიდან განაჩენის გამოტანამდე, თავისუფლებაში დარჩენილ ბრალდებულზე მონიტორინგისა და კონტროლის ფუნქციას აიღებს.

არჩილ კბილაშვილის ცნობით, აღნიშნული ინიციატივა შეხვედრაზე ყველამ მოიწონა. მთავარ პროკურორს მიაჩნია, რომ უნდა ჩატარდეს ტრენინგი პროკურორებისა და გამომძიებლებისთვის.

„შესაძლოა, მაღალ სტანდარტზე გადასვლამ რაოდენობრივი თვალსაზრისით შეამციროს ამ ტიპის დანაშაულის გამოვლენა, მაგრამ მიჩნეულია, რომ ეს არის სტანდარტის ფარგლებში სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების წესი“, — განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ მთავარი პროკურატურის ზემოხსენებულ ინიციატივას მხარი დაუჭირა ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტმა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში წინასწარი პატიმრობისა და გირაოს გამოყენების პრაქტიკის თაობაზე შეხვედრა სასტუმრო „თბილისი მარიოტში“, დაახლოებით, 3 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. შეხვედრას ესწრებოდნენ ამერიკის საელჩოს, შს საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების წარმომადგენლები, ასევე, ადვოკატები და არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები.

„ინტერპრესნიუსი“

„ორმაგი მოქალაქეობის მქონე თანამდებობის პირი უცხო ქვეყნისგან მართული იქნება“



ნოდარ ნათაძის შვიდი მოთხოვნა

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

პარლამენტში ინიცირებული საკონსტიტუციო პროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვა იწყება. ერთ-ერთი პროექტით, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობის დაკავების უფლება ეძლევათ. მეორე პროექტი პარლამენტის მიერ მთავრობის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანაზე კონტროლს ეხება. განხილვების დასრულების შემდეგ, პროცესი პარლამენტში გადაინაცვლებს. უმრავლესობის წარმომადგენლების ვარაუდით, ცვლილებებს სექტემბრის დასაწყისში მიიღებენ. მმართველ კოალიციას საკონსტიტუციო უმრავლესობა არ აქვს და ამ საქმეში უმცირესობის მხარდაჭერაც სჭირდება. ახალ საკონსტიტუციო წინადადებებზე „ვერსია“ ქართული პოლიტიკის ვეტერანს, „სახალხო ფრონტის“ თავმჯდომარე ნოდარ ნათაძეს ესაუბრა.

— უნდა მიენიჭოს თუ არა ორმაგ მოქალაქეს უფლება, პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის და პრემიერის თანამდებობა დაიკავოს?

— ასეთი კატეგორიის ადამიანებს უფლება ექნებათ, საქართველოს მართვაში მონაწილეობა მიიღონ, მაგრამ ამავე დროს, ლეგიტიმურად და მორალური ნორმების დაცვით, უცხო ქვეყნის მიერაც იქნებიან მართულნი და ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის უგულებელყოფას მივიღებთ; ამიტომ მოქალაქეობის მინიჭება ძალიან შეზღუდული უნდა იყოს და ეს პარლამენტის დონეზე უნდა ხდებოდეს.

— ბატონო ნოდარ, ქვეყნის ძირითად კანონში კიდევ რა წინადადებების ასახვას ითხოვთ?

— ჯერ ერთი, ნათლად უნდა დაფიქსირდეს, რომ საქართველოში ოსეთი არ არსებობს. მეორე, საქართველოდან არც ერთი ტერიტორიის, უპირველეს ყოვლისა, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის გამოყოფა სრულიად გამორიცხულია. მესამე, კონფედერაცია, რომელიც კონფლიქტური რეგიონების აღიარებას გულისხმობს, ჩვენთვის მიუღებელია. ეს ევგენი პრიმაკოვისა და ვლადიმერ პუტინის გეგმაა და გაერო-შიც ამ სახით დევს. მეოთხე, არავითარი დაშვება, რომ ჩვენმა რომელიმე მეზობელმა (აქ თურქეთზეცაა საუბარი) მონაწილეობა მიიღოს იმის განსაზღვრაში, თუ როგორი იქნება საქართველოში ტერიტორიული მოწყობა, ქვეყნის რომელიმე ნაწილთან ურთიერთობა და ა.შ. საერთოდ არ შეიძლება, ეს საკითხი დღის წესრიგში დაისვას. მეხუთე, საქართველოს არც ერთ ხელისუფლებას უფლება არ აქვს, პასიურად დაუშვას, ხელი შეუწყოს ან უყურადღებოდ განახორციელოს იმიგრაცია. ეს პროცესი უნდა შეზღუდული იყოს და ყველა იმიგრანტი პარლამენტის დონეზე უნდა მტკიცდებოდეს. ჩვენი სპეციფიკური გარემოებებიდან გამომდინარე, მიწისა და უძრავი ქონების უცხოელებზე გაყიდვაც უნდა შეიზღუდოს.

კომუნისტებისდროინდელი აღწერით, საქართველოს მოსახლეობის 28 პროცენტი ეთნიკურად არაქართველია. ქვეყანა ვალდებულია, ჰქონდეს საკმარისი ობიექტური სტიმული, რომ ამ მოქალაქეებს თავიანთი მოვალეობების გულსრულად შესრულება მოსთხოვოს. კანონის წინაშე ყველანი თანასწორნი ვართ. ასევე, თანასწორნი ვართ იმ უფლებაში, რომ საქართველოს მთელ სიმდიდრეს — მიწა-წყალსა თუ ჰაერს, როგორც პირადი შთამომავლობის მარადიულ საკვებს, თავის სარჩენ ბაზას განვიხილავდეთ.

დაბოლოს, ამ გარემოებებიდან გამომდინარე, საქართველოში, სოციალურ პოლიტიკაში პრინციპულად სხვა, რადიკალურად გაფართოებული პროგრამა უნდა ტარდებოდეს. სოციალური პოლიტიკა მხოლოდ იმას არ მოიცავს, რომ მქონდეს სამუშაო, პენსია, ჯანდაცვა და სხვ. საჭიროა დამატებითი პარამეტრები, რომლებიც მოქალაქეების, უპირველეს ყოვლისა, მოზარდი თაობის სასიცოცხლო ინტერესს შეადგენს. ესენია: რეკრეაციული დაკმაყოფილება, განვითარება, პედაგოგიური სივრცე...

— ბოლო 20 წლის განმავლობაში, კონსტიტუცია ბევრჯერ შეიცვალა. ქვეყნის ძირითადი კანონი ლეგიტიმურია?

— საქართველოში ორად ორი, ლეგიტიმურად არჩეული წარმომადგენლობითი ხელისუფლება ჰყავდა: ერთი 1918 წლის დამფუძნებელი კრება და მეორე 1990 წლის ოქტომბრის არჩევნებით მოსული. დანარჩენი, ყველა არალეგიტიმურია. ორად ორი ძირითადი კანონი გვაქვს — მენშევიკების კონსტიტუცია, რომელიც ხარისხობრივად ძალიან კარგია და მეორე — ზვიად გამსახურდიას დროს შეკეთებული კონსტიტუცია, რომელიც ძალიან შორს დგას მაღალი ხარისხისგან, მაგრამ კანონიერია. ყველა მომდევნო დოკუმენტი უკანონოა. სხვა თუ არაფერი, უკანონოა იმის გამოც, რომ არსებული კანონის მიხედვით, დანარჩენი კონსტიტუციები რეფერენდუმის გზით უნდა მიღებულიყო, მაგრამ არ ჩატარებულა. რაკი ამ კონსტიტუციების მოქმედების ლეგიტიმურობა შეზღუდულია, დღევანდელი ხელისუფლება ვალდებულია, გამოასწოროს და ახალ კონსტიტუციაში, რეფერენდუმის გარეშე, ერთი ასოც არ შეასწოროს.

სხვათა შორის, კონსტიტუციაზე ძალიან კარგ იურისტებთან ვმუშაობთ და არა ისეთ ავანტიურისტებთან, როგორებიც საკონსტიტუციო სასამართლოში ჰყავთ და რამდენიმე თვეში, სრულფასოვან ძირითად კანონს დავდებთ...

პატიმრები გეგუთის ციხის უფროსს ოჯახის წევრთა სიტყვიერ შეურაცხყოფაში ადანაშაულებენ

სასჯელაღსრულების სამინისტრომ გეგუთის საპყრობილეში პატიმართა ოჯახის წევრების შეურაცხყოფასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციაზე სამსახურებრივი მოკვლევა დაიწყო, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ირაკლი კორძაიამ განუცხადა.

მისი განმარტებით, უწყებას ამ თემაზე ოფიციალური საჩივარი არ მიუღია, თუმცა მოკვლევა არსებული ინფორმაციის საფუძველზე მიმდინარეობს. **„მსჯავრდებულთა მონათხრობის დადასტურების შემთხვევაში, კანონი სრული სიმკაცრით ამოქმედდება“,** — აღნიშნა ირაკლი კორძაიამ.

გეგუთის ციხეში მყოფი მსჯავრდებულები საპყრობილის გარეპერიმეტრის დაცვის უფროსს ვაჟა ნაცვლიშვილს მათი ოჯახის წევრების შეურაცხყოფაში ადანაშაულებენ. პატიმრების ინფორმაციით, ნაცვლიშვილი შეხვედრაზე მისულ მათ ახლობლებს დამამცირებლად ეპყრობა და შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართავს. აღნიშნულის გამო მსჯავრდებულები შიმშილობის დაწყებას არ გამორიცხავენ.

„ინტერპრესნიუსი“

გიორგი მარგველაშვილს თამარ სანიკიძე შეცვლის

გიორგი მარგველაშვილს განათლების მინისტრის თანამდებობაზე მისი პირველი მოადგილე, თამარ სანიკიძე შეცვლის, — ამის შესახებ მარგველაშვილმა ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმში სტუმრობისას განაცხადა.

გიორგი მარგველაშვილი თამარ სანიკიძეს მინისტრის თანამდებობაზე ოფიციალურად 15 ივნისს წარადგენს.

სანიკიძე 2010 წლიდან 2012 წლის ოქტომბრამდე, გიორგი მარგველაშვილთან, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (GIPA), ფინანსური დირექტორის თანამდებობაზე მუშაობდა. პირველი მოადგილის თანამდებობა სანიკიძეს მარგველაშვილმა განათლების მინისტრის პოსტზე დამტკიცებისთანავე შესთავაზა.

როგორც მარგველაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ახალი კანდიდატურა პრემიერთან უკვე შეათანხმა.

„ინტერპრესნიუსი“

შეთქმულება ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ

ნიკა ჯანიხოთელი

მართალია, პოლიტიკოსთა უმრავლესობა შეთქმულების თეორიებს ემიჯნება, მაგრამ ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ შეთქმულების თეორია აქტუალობას არ კარგავს. ყოველ შემთხვევაში, ისეთი პირი უჩანს, რომ ვიღაცამ თუ ვიღაცებმა დიდი პოლიტიკური თამაში წამოიწყეს, რომელიც მიზნად შს მინისტრის დისკრედიტაციას ისახავს. საერთოდ, ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ, ღია თუ ფარული ბრძოლა, ახლა არ დაწყებულა, თან რაც ყველაზე მეტად საინტერესოა, ამ ბრძოლაში მხოლოდ ნაციონალები კი არა, როგორც კულუარებში ამბობენ, თავად „ოცნების“ წარმომადგენლებიც მონაწილეობენ.

და მაინც, ვინ და რატომ უწყობს შეთქმულებას ირაკლი ღარიბაშვილს? — ამ კითხვაზე პასუხი, ერთი შეხედვით, მარტივია: ღარიბაშვილი ბიძინა ივანიშვილის ყველაზე ერთგული და საიმედო თანამებრძოლია; ამასთან, ღარიბაშვილი, პრაქტიკულად, ერთადერთი ადამიანია, რომელიც პრემიერმა ახლახან ანუ პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ კი არა, წლების წინ გაიცნო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ივანიშვილს ღარიბაშვილი ყველა სიტუაციაში ჰყავს გამოცდილი. სხვათა შორის, ვიდრე მსოფლიოში ცნობილი მილიარდერის ნდობით აღჭურვილი პირი გახდებოდა, ღარიბაშვილმა „ქართუ ბანკში“ თითქმის ყველა საფეხური გაიარა. ივანიშვილი მის მუშაობას, როგორც ჩანს, გამადიდებელი შუშით აკვირდებოდა და ბოლოს, საქმე იქამდე მივიდა, რომ თავისი ფონდი ანდო. უფრო მეტიც, 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე, როგორც კულუარებში ამბობენ, ივანიშვილმა მთელი თავისი ქონების განკარგვის უფლება ღარიბაშვილს გადააბარა — ეს ის დროა, როცა ივანიშვილის შესაძლო ლიკვიდაციაზე ინფორმაციამ გაჟონა.

ითვლება, რომ სახელმწიფოს, უფრო სწორად, ხელისუფლების სიმყარის გარანტი შს სამინისტროა. ეს მოსაზრება, შესაძლოა, მცდარია, მაგრამ არავინ კამათობს, რომ მაგალითად, შევარდნაძის, როგორც პრეზიდენტის სადავეები მას შემდეგ შესუსტდა, რაც უშიშროების საბჭოს იმჟამინდელმა ხელმძღვანელმა, ნუგზარ საჯაიამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. სხვათა შორის, თავის დროზევე გაჩნდა ეჭვი, რომ საჯაიას თვითმკვლელობა დადგმული იყო და საქმე, რეალურად, მკვლელობასთან გვქონდა... „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, შევარდნაძემ რამდენიმე ინტერვიუში, პირდაპირ თუ ირიბად, აღიარა, რომ წელში საჯაიას თვითმკვლელობამ გატეხა ანუ მის ძალაუფლებას წყალი მას შემდეგ შეუდგა, რაც ძალოვნებზე კონტროლი დაკარგა...

ერთი სიტყვით, ზემოხსენებული ფორმულა, როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილმაც კარგად იცის და ამიტომ შს სამინისტრო ყველაზე ერთგულ და სანდო ადამიანს ჩააბარა. სხვათა შორის, ივანიშვილი, ალბათ, იმასაც ხვდება, რომ ღარიბაშვილს, ნაციონალებთან ერთად, კოალიციის ცალკეული წევრებიც ებრძვიან. ჰოდა, პოლიციის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიალზე ერთი მნიშვნელოვანი სვლა გააკეთა — შს მინისტრს ხელი მამაშვილურად გადახვია! ნიშანდობლივია, რომ ამ დროს, პრემიერის მეორე მხარეს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი მეუღლითურთ იჯდა.

საერთოდ, კულუარებში არსებობს ვერსია, რომ ირაკლი ღარიბაშვილისთვის ძირის გამოთხრას თინა ხიდაშელი ცდილობს. ძნელი სათქმელია, მართლა ასეა თუ არა, მაგრამ როგორც „ოცნებელები“ პრივატულ საუბრებში ამბობენ, ხიდაშელი ღარიბაშვილს იმ სიტყვებს ვერ პატიობს, რომელიც პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე ინტერნეტში გავრცელდა...

შს მინისტრზე პირველი იერიში, რამდენიმე თვის წინ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ მიიტანა — ბათუმის პოლიციის უფროსს საია-ს წარმომადგენელთან ინციდენტი მოუვიდა, რის გამოც, ღარიბაშვილი დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა. მაშინ ითქვა, რომ საია-ს უკან „რესპუბლიკელები“ იდგნენ. ეს შეიძლება, მცდარი მოსაზრება იყო, მაგრამ ფაქტია: დავით უსუფაშვილის და ასევე, თინა ხიდაშელის პოლიტკარიერა სწორედ საია-დან დაიწყო...

ძნელი სათქმელია, შს მინისტრს მთავარი პროკურორის მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილიც ებრძვის თუ არა, მაგრამ კულუარებში ეს ვერსიაც აქტიურად მუსირებს. უფრო მეტიც, იმასაც ამბობენ, რომ ნაცვლიშვილი, გია ხუხაშვილთან ერთად, რუხი კარდინალის მანტიის მოსხმას ცდილობს და ამბობს, მე რომ არ ვყოფილიყავი, „ოცნება“ არჩევნებს ვერ მოიგებდაო.

ამასთან, კონფიდენციალური წყაროები იმასაც ეჭვობენ, რომ მთავარ პროკურორ არჩილ კბილაშვილს ციხის კადრების ავტორ ვლადიმერ ბედუკაძესთან დაკავშირებული გადაწყვეტილება სწორედ ნაცვლიშვილმა მიაღებინა. საერთოდ, ბედუკაძის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებამ „ოცნება“, უფრო სწორად, პრემიერი ბიძინა ივანიშვილი ერთობ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა... მოგვიანებით, კბილაშვილმა განაცხადა, რომ ბედუკაძის პასუხისმგებლობის გადაწყვეტილება ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად მიიღო და ამ განცხადებით გორდიას გორგალი კიდევ უფრო აიბლანდა — მთავარი პროკურორი იუსტიციის მინისტრსაც აღარ ექვემდებარება და რა მოვალეობა ჰქონდა არჩილ კბილაშვილს, რომ ბედუკაძის შეწყალება შს მინისტრს შეუთანხმა? ეს ყველაფერი იმაზე ხომ არ მეტყველებს, რომ გარკვეულ ძალებს სურთ, ხელები ირაკლი ღარიბაშვილს შეაწმინდონ და საპრეზიდენტო არჩევნების წინ, პრემიერი დაარწმუნონ, რომ ღარიბაშვილი ურეიტინგო მინისტრია და აიძულონ, იგი თანამდებობიდან გაუშვას?

ივანიშვილს არაერთხელ, ხაზგასმით უთქვამს, რომ სხვისი გავლენის ქვეშ არ ექცევა და, ცხადია, ვიღაცის (ვიღაცების) სურვილის გამო, არც შს მინისტრს მოხსნის, მაგრამ ნათქვამია, ცდა ბედის მონახევრიაო და შეთქმულებიც, როგორც ჩანს, ამ პრინციპით ხელმძღვანელობენ...

ეჭვს, რომ ვიღაცები ირაკლი ღარიბაშვილს შეთქმულებას უწყობენ, კიდევ ერთი გარემოება ამყარებს: ბოლო დროს ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რაიონებში პოლიცია დაკავებულებზე თითქოს ძალადობს. ორი კვირის წინ კი, ახალგაზრდა მამაკაცმა, რომელიც პოლიციაში დაკითხვაზე იმყოფებოდა, თბილისის ზღვაზე თავი იმ მოტივით მოიკლა, რომ ძალოვნებმა მეგობრის წინააღმდეგ ჩვენება ზეწოლით მიაცემინეს. მოგვიანებით, ექსპერტიზამ დაადგინა, რომ მიქაუტაძეს სხეულზე ძალადობის კვალი ეტყობოდა... ჰოდა, ნაციონალებს მეტიც აღარ უნდოდათ და სოციალურ ქსელებში აგნიასდნენ, აი, ეს ყველაფერი „ოცნების“ პოლიციაში ხდებაო. კი, ბატონო, ხელისუფლებაში „ოცნებაა“, მაგრამ არსებობს ერთი „მაგრამ“: შს სამინისტროში რამდენიმე ათეული ათასი ადამიანი მუშაობს, არჩევნების შემდეგ, ახალმა მინისტრმა მხოლოდ უმაღლესი თანამდებობის პირები შეცვალა, ე.წ. წვრილფეხობა კი, რომელიც ნაცმოძრაობასთან, როგორც ამბობენ, პოლიტიკური ჭიპლარითაა გადაბმული, შსს-ში მუშაობას განაგრძობს. ამასთან, არსებობს ინფორმაცია, რომ სხვადასხვა დანაშაულში ეჭვმიტანილი პოლიციელები არჩევნების შემდეგ მაღალ თანამდებობებზე ინიშნებიან. ასე, მაგალითად, პოლიციელი, რომელმაც თავის დროზე, ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრს, თამაზ თამაზაშვილს იარაღი ჩაუდო, ახლახან, თურმე, ერთ-ერთი რაიონის კუდ-ის უფროსად დაინიშნა. ირაკლი ღარიბაშვილი ყველა პოლიციელს, ცხადია, არ იცნობს. ჰოდა, როგორც ამბობენ, დანაშაულში ეჭვმიტანილი „პაგონიანები“ თანამდებობაზე მინისტრის მრჩეველთა ლობირებით ხვდებიან... შესაბამისად, გამორიცხული არაა, მიქაუტაძის ტრაგედიის საბაბიც სწორედ დიდი პოლიტიკური თამაში გახდა ანუ გარკვეული ძალები დაკავებულთა წინააღმდეგ სააკაშვილისეულ ცემა-წამებას იმ მიზნით იყენებენ, რომ საზოგადოების თვალში ირაკლი ღარიბაშვილის დისკრედიტაცია მოხდეს, თუმცა მიზანი საშუალებას ყოველთვის არ ამართლებს...

იმას, რომ გარკვეული ძალები შს მინისტრის წინააღმდეგ პროვოკაციებს გეგმავენ, არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილიც ადასტურებს.

„გვაქვს ინფორმაცია, რომ შს სამინისტროში დარჩენილია სააკაშვილისა და მერაბიშვილის ერთგული კადრები, რომლებიც საპრეზიდენტო არჩევნების წინ, ღარიბაშვილის წინააღმდეგ პროვოკაციების მოწყობას აპირებენ. ყველაფერ ამის მიზანი კი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი რგოლის — შს მინისტრის შესუსტებაა“, — აცხადებს ათი არასამთავრობო ორგანიზაციის სახელით „უფლებადამცველთა გაერთიანების“ ხელმძღვანელი ნიკოლოზ მჟავანაძე.

კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ შეთქმულება და პროვოკაციები მზადდება, შესაძლოა ისაა, რომ კულუარებში გავრცელებული ხმით, იმ შემთხვევაში, თუკი 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ბიძინა ივანიშვილი პრემიერის პოსტს მართლა დატოვებს და პოლიტიკას გაემიჯნება, შემცვლელად ანუ ახალ პრემიერად, გამორიცხული არაა, სწორედ ირაკლი ღარიბაშვილი დაასახელოს, რაც, თითქმის ჩაძირულ ნაცმოძრაობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პარტიებისთვისაც ერთგვარი შოკი იქნება. არადა, პრემიერობა, უხეშად რომ ვთქვათ, ერთგვარი მენეჯერობაა. ღარიბაშვილი კი, როგორც ამბობენ, კარგი მენეჯერია და ამას „ქართუ“ ფონდის მუშაობაც მოწმობს.

სხვათა შორის, ირაკლი ღარიბაშვილი ივანიშვილის უახლოესი გარემოცვიდან, პრაქტიკულად, პირველი იყო, ვისზეც 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე ნაციონალებმა იერიში მიიტანეს — ღარიბაშვილის სიმამრი, გენერალი თამაზ თამაზაშვილი იარაღის უკანონო ტარების საბაბით დააკავეს...

ვერსიანიუსი

საქართველოსა და ვანუატუს შორის დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობები დამყარდა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, მიმდინარე წლის 12 ივლისს, ქალაქ ნიუ-იორკში, საქართველომ და ვანუატუს რესპუბლიკამ დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობები დაამყარეს. სამინისტროს ინფორმაციით, ვანუატუს რესპუბლიკის მხრიდან ოქმს ხელი მოაწერა გაერო-სთან ვანუატუს მუდმივმა წარმომადგენელმა, საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა დონალდ კალპოკასმა, ხოლო საქართველოს მხრიდან — გაერო-სთან საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა ვახტანგ მახარობლიშვილმა. ოქმის შესაბამისად, მხარეები თანხმდებიან, რომ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს განავითარებენ სუვერენული თანასწორობის, სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის, ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ურღვევობის და ერთმანეთის შიდასაქმეებში ჩაურევლობის პრინციპების საფუძველზე. ოქმში ხაზგასმულია, რომ **„ვანუატუს რესპუბლიკა აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, მისი რეგიონების — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის — სამხრეთ ოსეთის ჩათვლით“.**

„აღნიშნული ფაქტი ცხადყოფს ვანუატუს გადაწყვეტილებას, საბოლოოდ დაუსვას წერტილი საკითხის ირგვლივ არსებულ გაუგებრობას და წარმოადგენს მისი მხრიდან საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ერთმნიშვნელოვანი მხარდაჭერისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების პატივისცემის ცალსახა დადასტურებას“, — აცხადებენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში. მათივე განცხადებით, საქართველო მიესალმება ვანუატუსთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას და გამოთქვამს იმედს, რომ ვანუატუს ამგვარი გადაწყვეტილება მაგალითი გახდება ოკეანეთის რეგიონების იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებმაც საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების დარღვევის გზით, აღიარეს საქართველოს ოკუპირებული რეგიონები.

„ინტერპრესნიუსი“



მეუფე იაკობი პოლიტიკოსების მხრიდან ქართველების გადაკიდების მცდელობაზე საუბრობს

პატრიარქის ქორეპისკოპოსი, ბოდბელი ეპისკოპოსი იაკობი პოლიტიკოსების მხრიდან ქართველების გადაკიდების მცდელობაზე საუბრობს. როგორც მეუფე იაკობმა საკვირაო ქადაგებისას ბრძანა, ცალკეული ადამიანები ცდილობენ, სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები განსხვავებული რწმენის ქართველები ერთმანეთს გადაამტერონ, თუმცა ეს არ გამოუვათ.

ბოდბელმა ეპისკოპოსმა სამთაწყაროში ინგილოების მიპატიჟება გაიხსენა და აღნიშნა, რომ მათ დიდი ძნელბედობა აქვთ გამოვლილი. მეუფის ინფორმაციით, სოფლიდან წასულია ის ოჯახი, რომელიც მუსულმანებსა და ქრისტიანებს შორის დაპირისპირების არსებობის წარმოსაჩენად გამოიყენეს.

„სოფლიდან წასვლამდე იმ ოჯახს უთქვამს, მოგვატყუეს, გამოგვიყენესო. მინდა, მივმართო იმ ადამიანებს, ვინც ცდილობს, საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილები ერთმანეთს გადაამტეროს: ბატონებო! ნიგვზიანში არ გამოგივიდათ! ცივწყაროში არ გამოგივიდათ! შერცხვით! ჩვენ ვიცით მათი სახელები, ვინც ყოველივე ამას გეგმავს, მაგრამ არ მინდა, ხმამაღლა ვთქვათ, იქნებ ცოტა შეინანონ. ისინი ჭკვიანი ადამიანები არიან. დღეს ბევრს აქვს იმუნიტეტი თავისი სამსახურიდან გამომდინარე. ზოგი სად მუშაობს, ზოგი — სად. ხომ შეიძლება, დასხდეთ და თქვენი გონება ცუდით არ იყოს დაკავებული, კარგზე იფიქრეთ. გააკეთეთ პირველი სიკეთე თქვენი ერისთვის და იქნებ ძალიან ბევრი რამ შეიცვალოს თქვენში“, — აღნიშნა ეპისკოპოსმა.

მეუფე იაკობის თქმით, ქართველები ქართველების დაყოფას ცდილობენ და ეს სამარცხვინოა. **„სინამდვილეში, არც მართლმადიდებლებზე შეგტკივათ გული და არც მუსულმანებზე. მხოლოდ იმას ფიქრობთ, როგორმე მუდმივად იყოთ თანამდებობაზე და ისე მართოთ ქვეყანა, როგორც თქვენს გაუკუღმართებულ აზროვნებას მოეწადინება. დაფიქრდით, იქნებ მიხვდეთ, რომ ქართველები ხართ! ერთი წვეთი სისხლი ხომ მაინცაა თქვენს ძარღვებში! საქართველოს ნუ ხდით აბუჩად ასაგდებს. უცხოელები ჩვენზე ვერ უნდა ბედავდნენ რაღაცების ლაპარაკს! ეს არის ერის ღირსების შეურაცხყოფა! ომის მოგება რომელიღაც ქვეყანასთან არ შეგიძლიათ და ღმერთს გინდათ მოუგოთ?! გონიერება გეყოფათ?! საქართველოში რელიგიური შუღლი არასოდეს ყოფილა და ნუ გამოგყავთ ჩვენი ქვეყანა ასე! თქვენ ხომ მარტო 17 მაისების მოწყობა შეგიძლიათ!“** — ბრძანა მეუფე იაკობმა.

„ინტერპრესნიუსი“

ახალი მემარჯვენეები საპრეზიდენტო არჩევნებში მხარს არც ერთ კანდიდატს არ დაუჭერენ!

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ახალი მემარჯვენეები საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარი კანდიდატის დასახელების აზრს ვერ ხედავენ და, სავარაუდოდ, ივლისის ბოლოს იმასაც განაცხადებენ, რომ მხარს არც სხვა პარტიების მიერ დასახელებულ რომელიმე კანდიდატს უჭერენ. პარალელურად, პარტია 2014 წლის ადგილობრივი არჩევნებისთვის სერიოზულად ემზადება... პრემიერ-მინისტრის რამდენიმე დღის წინ გაკეთებულ მოწოდებაზე, პარტიის გეგმებსა და საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მოსალოდნელ ახალ პოლიტიკურ რეალობაზე „ვერსიას“ ახალი მემარჯვენეების ლიდერი ფიქრია ჩიხრაძე ესაუბრა:

— პრემიერ-მინისტრის მიმართვაში საკმაოდ მნიშვნელოვანი გზავნილები იყო. ვიცით, წინა ხელისუფლების პირობებში როგორი არჩევნებიც ტარდებოდა, ახალი ხელისუფლების პირობებში კი არჩევნები ჯერ არ ჩატარებულა. პრემიერმა ამ თემაზე საკმაოდ კარგი მოწოდება გააკეთა და იმედი მაქვს, ეს მოწოდებები შესრულდება. ღიად ვიტყვი: ამ საპრეზიდენტო არჩევნებს, შედეგის თვალსაზრისით, მნიშვნელობა არ აქვს, რადგან წინასწარაა ცნობილი, მაგრამ ამ არჩევნებს სხვა გამოკვეთილი მნიშვნელობა აქვს — შემოდგომაზე ვილნიუსის სამიტი გველის და უნდა ვეცადოთ, ამ არჩევნებმა წინა წლის ოქტომბერში ჩაწერილ პოზიტივს წერტილი კი არა, ძახილის ნიშანი დაუსვას!

— ქალბატონო ფიქრია, საბოლოოდ გადაწყვიტეთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე საკუთარი კანდიდატი არ გეყოლებათ და მხარს არც სხვა რომელიმე კანდიდატს დაუჭერთ?

— საკუთარი კანდიდატი რომ არ გვეყოლება, ამას დაზუსტებით გეტყვით. ალბათ, ჩვენი ღია მხარდაჭერა არც სხვა კანდიდატს ექნება, მაგრამ ამ საკითხს წერტილს ჯერ მაინც არ ვუსვამ.

— რატომ მიიჩნევთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები წინასწარვე ცნობილია?

— „ოცნების“ მიმართ საზოგადოების იმედგაცრუების მიუხედავად, ეს ჯერ ბოლომდე გაფორმებული განწყობა არაა, თან ნაციონალების არსებობა ხალხს ჯერ კიდევ იმ იმედით კვებავს, რომ სააკაშვილის წასვლის შემდეგ „ოცნება“ საქმეს კარგად წაიყვანს და რომ არა ისინი, საქმე აქამდეც უკეთესად წავიდოდა. ვფიქრობ, საარჩევნოდ მაინცდამაინც დიდი ვნებათაღელვა არც გველის და არც საზოგადოება იქნება აქტიური. ამიტომ ახალმა მემარჯვენეებმა ჯერ კიდევ იანვარში გამოვაცხადეთ, რომ პარტია ადგილობრივი არჩევნებისთვის ემზადება. 2014 წლის არჩევნები ერთპარტიული უკვე აღარ უნდა იყოს და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ!

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წასვლას აანონსებს, ეს დღის წესრიგში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების საკითხს რეალურად აყენებს. თუ ივანიშვილი ხელისუფლებაში აღარ იქნება, პარლამენტის არსებული შემადგენლობა ხელახლა გადახედვას ითხოვს. პლუს, თუ ქვეყნის მოწყობის საპარლამენტო მოდელზე გადავდივართ, პარლამენტიც სხვაგვარ დაკომპლექტებას მოითხოვს — გვჭირდება უფრო ძლიერი და დაბალანსებული საკანონმდებლო ორგანო! ვფიქრობ, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, საქართველოში სრულიად ახალი რეალობა შეიქმნება.

— ამ ახალი რეალობის კონტურები უკვე ხომ არ ჩანს? — კოალიციაში შიდადაპირისპირებაა და ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ „ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დაიშლება?

— კოალიცია რომ აუცილებლად დაიშლება, ამას თავად მისი ლიდერებიც არ მალავენ, თუმცა ძნელი სათქმელია, ეს ზუსტად არჩევნების მერე მოხდება თუ არა.

რაც შეეხება არჩილ კბილაშვილის გარშემო განვითარებულ მოვლენებს, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ან პირველი ან მეორე გადაწყვეტილება კბილაშვილმა დამოუკიდებლად მიიღო. მის მიმართ ცუდად სულაც არ ვარ განწყობილი, პირიქით, მიმაჩნია, რომ კარგი პროფესიონალია და მის ჩაქოლვას არ ვაპირებ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ლადო ბედუკაძესთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება პოლიტიკური გუნდის კოლექტიური პასუხისმგებლობაა. მეტიც, ეს გუნდის ძალიან სერიოზული შეცდომაა! შესაძლოა, ლადო ბედუკაძემ ახალ ხელისუფლებას რაღაც სერიოზული ინფორმაციაც მისცა, მაგრამ ეს კაცი პასუხისმგებლობისგან სრულად არ უნდა გათავისუფლებულიყო! ეს ხელისუფლების ფუნდამენტური შეცდომაა და ბედუკაძის გათავისუფლება მხოლოდ არჩილ კბილაშვილის პრივატულ გადაწყვეტილებად არ უნდა განვიხილოთ.

— ამ სკანდალს წინასაარჩევნო პროცესებში გარდატეხის შეტანა შეუძლია, მით უმეტეს, ხმა ვრცელდება, რომ სექტემბერში, წინასაარჩევნოდ ახალი კადრების კიდევ ერთ სერიას ვიხილავთ...

— საზოგადოების გარკვეულ წრეებში ამის მოლოდინი ნამდვილადაა, მაგრამ აჯობებს, ასეთი კადრების „პრასმოტრები“ კი არ ხდებოდეს, ინტენსიური გამოძიება მიმდინარეობდეს, რათა საზოგადოებამ იცოდეს, კონკრეტულად ვინ აკეთებდა ამ სიმახინჯეს.

— იმაშიც არის ლოგიკა, რომ ადგილობრივი და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რომელსაც ვითარება რეალურად ითხოვს, ერთად დაინიშნოს?

— სხვათა შორის, არასაპარლამენტო ოპოზიცია ცოტა ხნის წინ ევროსაბჭოს ელჩებს შევხვდით და ეს კითხვა მათი მხრიდან ამ შეხვედრაზეც დაისვა. ჩანს, გარკვეული გარემოებები ამაზე ფიქრის საფუძველს არაერთ მხარეს უტოვებს.

ადგილობრივი არჩევნები პოლიტიკურად ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ იმ ახალ რეალობასა და მოცემულობას ვერ უპასუხებს, რაც ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნების მერე შეიქმნება, თან, ფინანსურად, ადგილობრივი არჩევნებიდან ცოტა ხანში, ხელახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაც გაუმართლებელია.

ერთი რამ ყველამ ზუსტად ვიცით: დღეს საზოგადოებაში, მათ შორის, ხელისუფლების მხარდამჭერ ნაწილში, არსებობს განცდა, რომ პარლამენტში წარმოდგენილი ძალები ხალხის განწყობას ვერ აკმაყოფილებენ და მოსახლეობის მოთხოვნებს ვერ ასახავენ! ეს განცდა მასობრივია, შესაბამისად, ხელახალი საპარლამენტო არჩევნების რაც შეიძლება სწრაფად ჩატარების საკითხი უკვე დგას და უფრო მწვავედ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დადგება!

ვერსიანიუსი

შს მინისტრი კონფერენციაზე — „ევროპული გზა“ სიტყვით გამოვიდა

ბათუმში, კონფერენციის — „საქართველოს ევროპული გზა: ევროკავშირის აღმოსავლეთ ევროპელი პარტნიორები-ვილნიუსის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტისკენ“ — ფარგლებში, ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით სხდომა გაიმართა. სხდომაზე სიტყვით შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გამოვიდა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე, ამ მიმართულებით ქვეყნისა და შსს-ს მხრიდან გადადგმულ ნაბიჯებზე, კერძოდ, საკანონმდებლო ჰარმონიზაციასა და შსს-ს სისტემაში განხორციელებულ რეფორმებზე ისაუბრა.

„ვერსიანიუსი“

ეროსუდან შელია
557-100-768

ნინო ბურჯანაძე: „7 ნოემბერს ისეთი არაფერი მომხდარა, რაც სხვა ცივილიზებულ ქვეყნებში არ ხდება!“

რატომაა დარწმუნებული „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მარგველაშვილს დაამარცხებს

საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ტურის დანიშვნას პროგნოზირებს და ბიძინა ივანიშვილის ფავორიტ გიორგი მარგველაშვილის დამარცხებასაც რეალურად მიიჩნევს. ამბობს, რომ თუ არჩევნებში დამარცხდა, ნაცმოძრაობა პოლიტიკურ რეაბილიტაციასა და, დიდი ალბათობით, ხელისუფლებაში დაბრუნებასაც მოახერხებს... პარტია „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს ლიდერი ნინო ბურჯანაძე „ვერსიასთან“ წინასაარჩევნო პროცესებს აფასებს.

— სამწუხაროდ, წინასაარჩევნოდ „ქართული ოცნება“ თავისი განცხადებებით საზოგადოებაში ნიჰილიზმს აღვივებს. ამ შეფასებებიდან გამომდინარე, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს არჩევნებში მოქალაქეების აზრს მნიშვნელობა აღარ აქვს, რადგან ზევით, ხელისუფლებამ ყველაფერი წინასწარ გადაწყვიტა.

— თქვენც ხომ არაერთხელ გითქვამთ, რომ არჩევნებში უპირობოდ გაიმარჯვებთ და უკვე საქართველოს პრეზიდენტის პოსტისთვისაც ემზადებით? ასეთი დარწმუნებული რატომ ხართ, რომ არჩევნებში ბიძინა ივანიშვილის ფავორიტს დაამარცხებთ?

— პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ნაციონალური მოძრაობის ხერხები „ქართულმა ოცნებამ“ კარგად გადმოაკოპირა. ნაციონალები პოლიტიკოსის იმიჯისა და პროფესიის დაკნინებას ცდილობდნენ და დღესაც გვარწმუნებენ, რომ ყველა პროფესიას, მეწაღეობიდან დაწყებული ექიმობით დამთავრებული, სწავლა სჭირდება, პოლიტიკოსი ან პრეზიდენტი კი შეიძლება, ნებისმიერი პროფესიის ადამიანი გახდეს. გიორგი მარგველაშვილი, მართლაც, კარგი პიროვნებაა და მოვლენები როგორც უნდა განვითარდეს, მის პლუსებზე ყოველთვის ვისაუბრებ, მაგრამ მისი ყველა თვისება პოლიტიკოსისა და, მით უმეტეს, პრეზიდენტის ფიგურას აბსოლუტურად ეწინააღმდეგება. სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა, როგორ დათანხმდა ბიძინა ივანიშვილის წინადადებას, რადგან ადრე, პოლიტიკაში გააქტიურების შესახებ ნებისმიერ შეთავაზებაზე ასე მპასუხობდა, როგორ წარმოგიდგენია — მე, პოლიტიკოსის რანგში, კაბინეტში ვზივარ ან თათბირს ვატარებო. მაშინ მისი არგუმენტები გამართლებული იყო და ახლაც ნათლად ვხედავ, რომ გიორგი მარგველაშვილის პიროვნებაში არაფერი შეცვლილა. შესაბამისად, დიახ, დარწმუნებული ვარ, თავისუფალი საარჩევნო გარემოს პირობებში, პირველი ტური იქნება თუ მეორე, არჩევნებში აუცილებლად გავიმარჯვებ! დიდი ალბათობით, მეორე ტური დაინიშნება და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ საზოგადოებაში ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი მოქმედებს. სხვა შემთხვევაში, არჩევნებს პირველივე ტურში მოვიგებდი.

— არადა, ბოლო სოციოლოგიური გამოკითხვებით, გიორგი მარგველაშვილის შემდეგ, მეორე ადგილზე სალომე ზურაბიშვილია, თქვენ კი მესამე პოზიციაზე ხართ...

— სოციოლოგიური გამოკვლევების მიმართ ჩემი პოლიტიკური გუნდის დამოკიდებულება დიდი ხანია ცნობილია. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ IRI-ს ან NDI- ს არ ვენდობი, უბრალოდ, ჩვენთვის კარგადაა ცნობილი ის ქართული კომპანიები, რომლებიც ამ ორგანიზაციებს კვლევების ჩატარებას აიძულებენ... რამდენიმე დღის წინ, NDI- ს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებმა გამოჟონა, რომლის მიხედვითაც, 34% გიორგი მარგველაშვილმა მოიპოვა, მე 15% მერგო, სალომე ზურაბიშვილს კი მხოლოდ 2,5%. თანაც ისიც უნდა დადგინდეს, კანონმდებლობით ვის აქვს არჩევნებში მონაწილეობის უფლება და შესაძლებლობა. ამის შემდეგ, მეტ-ნაკლებად, ადვილი იქნება თქმა, საზოგადოებაში ვის როგორი მხარდაჭერა აქვს.

— სალომე ზურაბიშვილს, რომელმაც თქვენი კანდიდატურის დასახელება წარსულის თამაშად შეაფასა, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ აქვს?

— იურისტი ვარ და კონსტიტუციის კითხვა კარგად ვიცი. ალბათ, ქალბატონი სალომეც კანონმდებლობას უკეთ წაიკითხავს, თუმცა ამის შესახებ მეტს აღარ ვისაუბრებ. რაც შეეხება მის განცხადებას, რატომ ვარ სალომე ზურაბიშვილზე მეტი „წარსულის პოლიტიკოსი“, ნამდვილად ვერ ვხვდები.

— არ იცით, რომ საზოგადოებაც ხშირად სწორედ წარსულს გახსენებთ?

— ქართულ პოლიტიკაში არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ნინო ბურჯანაძეზე სუფთა წარსული აქვს! რა თქმა უნდა, შეცდომები დავუშვი ისევე, როგორც ნებისმიერმა ადამიანმა, თუმცა არც ერთ მათგანს სახელმწიფო არ დაუზარალებია. პირიქით, ჩემს ბიოგრაფიაში მხოლოდ ისეთ შეცდომებს წააწყდებით, რომელმაც მხოლოდ მე, როგორც პოლიტიკოსი და როგორც ადამიანი დამაზარალა. არადა, ცხოვრებაში გაცილებით ბევრი პოზიტიური საქმე მაქვს გაკეთებული, ვიდრე უარყოფითი. ასე რომ, ქვა მესროლოს იმან, ვისაც ჩემზე მეტი გაუკეთებია და ჩემზე ნაკლები შეცდომა დაუშვია.

— სხვა შეცდომებს თავი რომ დავანებოთ, 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევიდან ორ დღეში გაკეთებული განცხადების შემდეგ, სახელმწიფოს ძალისთვის არ გადაუმეტებიაო, გაქვთ მორალური უფლება, საქართველოს პრეზიდენტი გახდეთ?

— 7 ნოემბერს მომიტინგეებს პარლამენტის კარი გავუღე და ქვეყანა სამოქალაქო ომს გადავარჩინე, ამას რატომ არ იხსენებთ? მთავარი ის კი არ არის, პოლიტიკოსი რას ამბობს, მთავარია, რას აკეთებს. 7 ნოემბერი 26 მაისს შეადარეთ და ამის შემდეგ ვილაპარაკოთ, რას აკეთებდა ნინო ბურჯანაძე ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში.

— თქვენთვის 26 მაისი 7 ნოემბრის გამოსასყიდია?

— გამოსასყიდი არაფერი მჭირს და 7 ნოემბერს ისეთი არაფერი მომხდარა, რაც სამწუხაროდ, სხვა ცივილიზებულ ქვეყნებში არ ხდება. რაც შეეხება ჩემს მორალურ პასუხისმგებლობას, ამას მხოლოდ საზოგადოება გადაწყვეტს. აღარ ვაპირებ ამ თემებზე მუდმივად ლაპარაკს, რადგან არსებობენ პოლიტიკოსები, რომლებიც 26 მაისის დარბევის სპეცოპერაციაშიც მე მადანაშაულებენ და არა — მიხეილ სააკაშვილს. დავინტერესდეთ, რას აკეთებდნენ ისინი 7 ნოემბერს, თუ ოპოზიციაშიც და ხელისუფლებაშიც ყველაფერზე ბურჯანაძეა პასუხისმგებელი?

— 7 ნოემბერს ქვეყნის მეორე პირი იყავით, 26 მაისს კი — აქციის ორგანიზატორი. ამიტომაცაა საუბარი ორივე შემთხვევაში თქვენ პასუხისმგებლობაზე.

— ჩემი ერთადერთი დანაშაული ისაა, რომ 7 ნოემბრის დარბევის მეორე დღესვე ტელევიზიით გულზე მჯიღის ცემით არ ვიყვირე, ადამიანები დახოცვას მე გადავარჩინე-მეთქი, რასაც ჩემს ადგილას ბევრი პოლიტიკოსი გააკეთებდა. თუ ვინმეს აინტერესებს, ხელისუფლებაში ყოფნის დროს რას ვაკეთებდი, ვეტყვი: საკმაოდ ხშირად, სააკაშვილს ქვეყნისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში საღამოს 11 საათამდე ვარწმუნებდი, თუმცა როგორც ჩანს, შემდეგ, მასთან გაბაშვილები და ბოკერიები მიდიოდნენ, რის გამოც დილით სააკაშვილის აბსოლუტურად შეცვლილი გადაწყვეტილება მხვდებოდა.

— გაუგებარია, ოთხი წელი რატომ იყავით იმ გუნდის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა, სადაც თურმე, რიგით დეპუტატ გაბაშვილს თქვენზე მეტი გავლენა ჰქონდა?

— სანამ ხელისუფლებაში ვიყავი და, სხვათა შორის, პარლამენტის თავმჯდომარის გარანტირებულ სკამზე უარს ვიტყოდი, აგვისტოს ომი მომხდარი არ იყო, რაშიც საკმაოდ დიდი წვლილი მიმიძღვის. რომელ პოლიტიკოსს უთქვამს ამხელა თანამდებობაზე უარი? კარგად გაიხსენეთ, 2008 წლამდე რა ხდებოდა და აგვისტოს ომის შემდეგ რა პროცესები დაიწყო, თანაც საზოგადოებამ ჩემ ირგვლივ არსებულ კითხვებზე ამომწურავი პასუხი და ბოდიშიც მიიღო, რასაც საბედნიეროდ, მოსახლეობაში ადეკვატური განწყობაც მოჰყვა. მხოლოდ პოლიტიკოსები ტრიალებენ მუდმივად ჩემი წარსულის ირგვლივ და მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის ინტერესებში იყო მუდმივად ამ თემებზე საუბარი, რათა მთავარი მოწინააღმდეგე — ნინო ბურჯანაძე პოლიტიკურად გაენეიტრალებინა. 9 წლის განმავლობაში, მართული ტელე-მედიის გამო, ადამიანებს ქვეყანაში არსებული რეალური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდათ, რამაც ოპოზიციურ ძალებზე შესაბამისი გავლენა მოახდინა. პირველი ოქტომბრის შემდეგ ამ მხრივ საზოგადოებაში შიში მოიხსნა, თუმცა ახლა ხელისუფლება პროცესების ხელოვნურად შეჩერებას ცდილობს...

საზოგადოებას სწორედ არჩევნებამდე უნდა მივაწოდოთ პოლიტიკური ძალების შესახებ დეტალური ინფორმაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსახლეობა სწორ დასკვნას ვერ გააკეთებს. როგორც ჩანს, ხელისუფლებასა და ნაციონალურ მოძრაობას შორის ურთიერთობა უფრო და უფრო ღრმავდება, რაც საზოგადოების დაკვეთა სულაც არ ყოფილა. ბუნებრივია, სამართალდამცავი ორგანოების მოქმედებას, თუნდაც გარეგნულად, პოლიტიკური დევნის ფორმა არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ ნაციონალური მოძრაობისთვის წინასაარჩევნოდ ინდულგენციის მიცემა გაუმართლებლად მიმაჩნია. დღეს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ყველა დებატს ნაციონალები იგებენ. უბრალოდ, მათი პრობლემა ისაა, რომ რაც უნდა არგუმენტირებული პოზიცია ჰქონდეთ, საზოგადოებას, სრულიად სამართლიანად, მათი არ სჯერა — ეს პოლიტიკური ძალა სრულად დისკრედიტირებულია! ერთი კითხვა მიჩნდება: „ქართული ოცნების“ ზოგიერთ წარმომადგენელს აბსოლუტურად დისკრედიტებულ ოპონენტთან პოლიტიკური ურთიერთობა ხომ არ მოეწონა? ფაქტია, რომ მათთვის გაცილებით ადვილია ნაციონალურ მოძრაობასთან ოპონირება, ვიდრე — „დემოკრატიული მოძრაობასთან“.

— თქვენ რატომ არ ცდილობთ ოპოზიციურ ფლანგზე ნაციონალური მოძრაობის ჩანაცვლებას? დავით ზურაბიშვილმა განაცხადა, არასაპარლამენტო პარტიები ბიძინა ივანიშვილის კი არა, კოალიციაში შემავალი ძალების ოპონენტები არიანო.

— „რესპუბლიკელები“ იმ დონის პოლიტიკურ ძალად არ მიმაჩნია, რომ ოპონირება მხოლოდ მათ გავუწიო. დიახ, არ დამიმალავს, რომ ბიძინა ივანიშვილის ოპოზიცია არ ვიქნები. საქართველოს პრეზიდენტობას ვაპირებ და, სააკაშვილისაგან განსხვავებით, რომელიც სრულიად ქვეყნის ოპოზიციაში გვევლინება, მმართველ გუნდთან თანამშრომლობას ვგეგმავ, რადგან კარგად მესმის, რომ ქვეყნის პირველი პირი ყველას პრეზიდენტი და გულშემატკივარი უნდა იყოს. ეს არ ნიშნავს ნაციონალურ მოძრაობასთან თანამშრომლობას, თუმცა მათი უფლებებიც უნდა დავიცვათ.

— ირაკლი ალასანიასთანაც ითანამშრომლებთ, რომელიც 26 მაისზე პასუხისმგებლობას მხოლოდ თქვენ გაკისრებთ ან ლევან ბერძენიშვილთან, რომელიც საჯაროდ აცხადებს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში ნინო ბურჯანაძის გამარჯვებას დავით ბაქრაძის გამარჯვება ურჩევნია?

— პოლიტიკა საინტერესო სფეროა, ამიტომ პირად წყენასა და უსამართლო განცხადებებზე პოლიტიკური საქმიანობის აგებას არ ვაპირებ. ბავშვი კი არა, პროფესიონალი პოლიტიკოსი ვარ და მეწყინა-გავბრაზდის მიხედვით არ ვმოქმედებ. გუნდის ცალ-ცალკე წევრებზე არ ვისაუბრებ, რადგან ხელისუფლებაში მთავარი ბიძინა ივანიშვილის ფიგურაა. სამაგიეროდ, ლევან ბერძენიშვილი საკმაოდ კარგად თანამშრომლობს ნაციონალურ მოძრაობასთან და მათთან ურთიერთობის პრობლემა არ აქვს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ისაა, რომ ხელისუფლებაში საკმაოდ საინტერესო ტენდენცია შეინიშნება — 9 წლის განმავლობაში მომხდარ დანაშაულზე პასუხს მხოლოდ მიხეილ სააკაშვილს სთხოვენ.

— ახლა სააკაშვილსაც იცავთ?

— სააკაშვილის დამცველი არ ვარ, მაგრამ მისი წილი ამ ტოტალურ დანაშაულში, 60%-ია. არ დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ იმ ძალაზე ვსაუბრობთ, რომელიც 12 800 კაცს საწოლში შეუვარდა, ამიტომ არასწორად მიმაჩნია, ჯოხის მხოლოდ ვანო მერაბიშვილსა და მიხეილ სააკაშვილზე გადატეხვა. სრულიად გუნდის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, თუმცა ამის ნაცვლად, ხელისუფლებამ ნაციონალებს დრო მისცა, ძალები მოეკრიბათ. მხოლოდ საქართველოში შეიძლება, რომ დამარხული ნაციონალური მოძრაობა — ჩვენი უსუსურობით გაცოცხლებული ზომბეები პოლიტიკურ დევნაზე გველაპარაკებიან. თუ საპრეზიდენტო არჩევნებში არ გავიმარჯვებ და ხელისუფლებაც ამჟამინდელ პოლიტიკას გააგრძელებს, მერწმუნეთ, საკმაოდ დიდია ალბათობა, რომ სახეშეცვლილი და გალამაზებული ნაცმოძრაობა ხელისუფლებაში დაბრუნდეს.

ვერსიანიუსი

შვეიცარიაში საქართველოს 11 მოქალაქე დააკავეს

შვეიცარიის პოლიციამ ძარცვის ბრალდებით, საქართველოს 11 მოქალაქე დააკავა. „კავკაზსკი უზელის“ ცნობით, დაკავებულებმა ბოლო რვა თვის განმავლობაში 23 ძარცვა განახორციელეს, რის გამოც მიყენებული ზარალი 350 ათას დოლარს შეადგენს.

პოლიციის ინფორმაციით, ეჭვმიტანილთა ინტერესს ფული და ოქროულობა წარმოადგენდა, რომელსაც შვეიცარიელების ქალაქგარეთ არსებული სახლებიდან იპარავდნენ.

ამასთან, ცნობილია, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ 9 დაკავებულის დეპორტაციის გადაწყვეტილება მიიღო, საქართველოს ორი მოქალაქე კი სასამართლოს სხდომამდე შვეიცარიაში პატიმრობაში დარჩება.

„ინტერპრესნიუსი“

რა უჯდება ბიუჯეტს სააკაშვილის აპარტამენტების შენახვა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილი ბათუმში, დედის, გიული ალასანიას სახლში გადავიდა და ბობოყვათის რეზიდენცია მთავრობას ჩააბარა, რომლის შენახვაც, სააკაშვილის თქმითვე, სახელმწიფოს ძვირი უჯდება, „ვერსია“ დაინტერესდა, რა ხდება სინამდვილეში პრეზიდენტის რეზიდენციებთან დაკავშირებით. ზუგდიდისა და ბობოყვათის რეზიდენციები, ასევე, ავლაბრის ადმინისტრაციული კომპლექსი, პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან ფინანსდება. ამიტომ დიდი მნიშვნელობა არ აქვს, პრეზიდენტის საკუთრებაში იქნება თუ მთავრობის — რეზიდენციები მაინც სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსზეა! რაც შეეხება მესტიის სამთავრობო აპარტამენტებს, ამ კომპლექსის მშენებლობას სკანდალური ფაქტები უკავშირდება.

მესტიის რეზიდენცია

სკანდალური ისტორია — როგორ ააშენებინეს ნაციონალებმა ბიზნესმენ გურამ კვირიკაშვილს პრეზიდენტის მესტიის რეზიდენცია 400 000 დარად

სამთავრობო რეზიდენციების ოფიციალური ხარჯები

„ვერსია“ დაინტერესდა, რა თანხა იხარჯება ბიუჯეტიდან ყოველთვიურად პრეზიდენტის ავლაბრის, ბობოყვათისა და ზუგდიდის რეზიდენციების, ასევე, მესტიის აპარტამენტების შესანახად (კომუნალური გადასახადები, შენობების დაცვა, მომსახურე პერსონალი). ამასთან, საინტერესოა, რა თანხა დაიხარჯა პრეზიდენტის რეზიდენციებისა და აპარტამენტების მოწყობა-რემონტზე. ამის გასარკვევად, „ვერსიამ“ ოფიციალური წერილი მოამზადა, რომელიც საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს კანცელარიაში ჩააბარა. კანონით დადგენილ ვადებში, სააგენტოს დირექტორმა, მამუკა გოგატიშვილმა ოფიციალური წერილითვე გვიპასუხა:

„ბობოყვათისა და ზუგდიდის რეზიდენციები სარგებლობს სამთავრობო რეზიდენციების სტატუსით, ხოლო პრეზიდენტის რეზიდენციად იწოდება მხოლოდ ავლაბრის ადმინისტრაციული კომპლექსის პირველი ბლოკი, რომელიც 2012 წლის ოქტომბერში, სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს სარგებლობის უფლებით გადმოსცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და მას შემდეგ აღნიშნულ შენობა-ნაგებობებზე სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები არ ჩატარებულა.

რაც შეეხება „მესტიის აპარტამენტებს“, როგორც ეს თქვენს წერილშია მოხსენებული, ამგვარი უძრავი ქონება სააგენტოს ბალანსზე არასდროს ირიცხებოდა და, შესაბამისად, აღნიშნულთან დაკავშირებით, ინფორმაცია არ გაგვაჩნია.

ბობოყვათის რეზიდენცია

სააგენტოს ბალანსზე რიცხული ზემოხსენებული რეზიდენციების მომსახურე პერსონალის ხელფასი, ჯამში, თვეში 147 180 ლარს შეადგენს, მათ შორის, ავლაბრის ადმინისტრაციული კომპლექსის (სრულად და არა მხოლოდ პრეზიდენტის ნაწილის) პერსონალის ხელფასია 122 980 ლარი, ბობოყვათის სამთავრობო რეზიდენციის თანამშრომელთა სახელფასო საზღაურია 18 400 ლარი, ხოლო ზუგდიდის სამთავრობო რეზიდენციის თანამშრომლების — 5 800 ლარი. ამ შენობა-ნაგებობების კომუნალური ხარჯები თვეში, საშუალოდ, ზუგდიდის რეზიდენციისთვის 850 ლარს, ბობოყვათის რეზიდენციისთვის 17 650 ლარს, ავლაბრის ადმინისტრაციული კომპლექსისთვის კი 74 900 ლარს შეადგენს. ამასთან გაცნობებთ, რომ სამთავრობო რეზიდენციებისა და ავლაბრის ადმინისტრაციული კომპლექსის შენობების დაცვას, კანონით დადგენილი წესით, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური უზრუნველყოფს“.

„ვერსია“ დაინტერესდა, რა ბედი ეწია მესტიის სამთავრობო აპარტამენტებს, ან სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო ოფიციალურად რატომ არ აღიარებს, რომ ზემო სვანეთში სააკაშვილი, მართლაც იშენებდა მორიგ რეზიდენციას. ჟურნალისტური გამოძიებისას საინტერესო და სკანდალური ფაქტები გამოიკვეთა, თუმცა ვიდრე ამ ფაქტებზე გადავალთ, შეგახსენებთ, რომ 2009 წელს პრეზიდენტმა სამთავრობო რეზიდენციები გასაყიდად გაიტანა. საპრივატიზაციო ნუსხაში ბათუმისა და ზუგდიდის რეზიდენციები მოხვდნენ, წეროვანის რეზიდენცია კი საბავშვო ბაღად გადაკეთდა.

როგორც გავარკვიეთ, რეზიდენციების გაყიდვის მოტივი კეთილშობილური იყო — შენობების შენახვა ბიუჯეტს ძვირი უჯდებოდა. 2009 წელს, აგვისტოს ომისა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდეგ, იმხანად ყბადაღებული, სააკაშვილისეული „ქამრების შემოჭერა“, სახელმწიფო უწყებებთან ერთად, პრეზიდენტის რეზიდენციებსაც უნდა შეხებოდა. შენობების გაყიდვიდან შემოსული თანხები კი „იაფი კრედიტის“, ჯანდაცვის პროგრამებსა და მოსახლეობის დასაქმებას მოხმარდებოდა. მიუხედავად ამისა, ოთხი წლის წინ გასაყიდად გატანილი ზუგდიდის რეზიდენცია კვლავ პრეზიდენტის განკარგულებაშია.

ბობოყვათისა და ზუგდიდის რეზიდენციები

2013 წლის მაისის ბოლოს, ბათუმში სტუმრობისას, როდესაც პრეზიდენტ სააკაშვილის წინააღმდეგ ეკომიგრანტებმა საპროტესტო აქცია გამართეს, სააკაშვილმა მოსახლეობას ამ სიტყვებით მიმართა:

„ჩავაბარე ბობოყვათის სამთავრობო რეზიდენცია, რადგან ძალიან ბევრს წუწუნებდნენ, რომ ძვირი უჯდებოდა მთავრობას და გადმოვედი დედაჩემის ჩვეულებრივ ბინაში. ვინც რა უნდა ილაპარაკოს თბილისში, როგორც არ უნდა ეწყინოს ეს საქართველოს მთავრობას, მე საქართველოში ყველგან წავალ. თუ სადმე ბინა აქვს ჩემი ოჯახის რომელიმე წევრს, იქ გავჩერდები, თუ არადა, სხვაგან გავჩერდები, ვინც მიმიღებს. ხალხს შევხვდები, პოლიტიკურ საქმიანობას გავაგრძელებ, ამაში ხელს ვერ შემიშლიან ორგანიზებული აქციებით“.

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტით, ბობოყვათის სამთავრობო რეზიდენციის მოსამსახურე პერსონალის წლიური სახელფასო ფონდი 220 800 ლარია, ზუგდიდის სამთავრობო რეზიდენციისა კი — 69 600 ლარი. ბობოყვათის სამთავრობო რეზიდენციას შვიდი მებაღე, რვა დამლაგებელი, ორი მძღოლი, ოთხი მზარეული, ორი ინჟინერი, ორი მთავარი ინჟინერი, ერთი უფროსი და ერთიც უფროსის მოადგილე ემსახურება.

მებაღისა და დამლაგებლის ყოველთვიური ხელფასი 600-600 ლარია, მძღოლის — 900, მზარეულის — 650, ინჟინრის — 650, მთავარი ინჟინრის — 750, რეზიდენციის უფროსის — 1 300, მისი მოადგილის კი — 900 ლარი.

დასასრული მე-7 გვერდზე

პატიმარი ძმები ქუთათელაძეები ქუთაისის ციხის ყოფილ უფროსს, დავით ცირეკიძეს წამებაში ადანაშაულებენ

თორნიკე ხურცილაძე
„ვერსიისთვის“ ქუთაისიდან

„ვერსიას“ ქუთაისის სასჯელაღსრულების №2 დაწესებულებიდან ძმები — დავით და ირაკლი ქუთათელაძეები, რომლებიც 2011 წლიდან ქურდული სამყაროს წევრობისთვის, გამოძალვისა და იარაღის უკანონო შენახვა-ტარებისთვის 16-წლიან სასჯელს იხდიან, ტელეფონით დაუკავშირდნენ. ქუთათელაძეები ბრალს არ აღიარებენ და ამბობენ, რომ იარაღი გურიის სამხარეო პოლიციის მაშინდელმა უფროსმა, დავით ცირეკიძემ ჩაუდო.

დავით ცირეკიძე

„ჩვენი დაკავება დღისით, ქუჩაში, ყველას თვალწინ მოხდა — მე და ჩემი ძმა, ჩემს სამი წლის ძმიშვილთან ერთად, ავტომობილით მივდიოდით, რა დროსაც სპეცრაზმმა აგვიყვანა. ცეცხლსასროლი იარაღი კი, პოლიციის უფროსმა ცირეკიძემ ჩაგვიდო, რასაც უამრავი მოწმე ჰყავს. იარაღის ექსპერტიზას ვითხოვდით, რადგან დარწმუნებულები ვიყავით, რომ ცირეკიძის თითის ანაბეჭდები იქნებოდა, თუმცა სასამართლომ ჩვენი მოთხოვნა არ გაითვალისწინა“, — ამბობს **დავით ქუთათელაძე**.

ძმები ქუთათელაძეები ერთ-ერთ კომპანიაში 30-პროცენტიან წილს ფლობდნენ. საქმის მასალების მიხედვით, ძმებმა მართვის საკონტროლო წილის დაუფლება განიზრახეს და კომპანიის ერთ-ერთ მეწილეს მუქარით, დაშინებითა და ქურდული გარჩევით წილის დათმობა მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფიზიკური ანგარიშსწორებით დაემუქრნენ. დავით ქუთათელაძე „ვერსიასთან“ საუბრისას ამბობს, რომ ცირეკიძე, სხვებთან ერთად, სწორედ მათი ბიზნესწილებით იყო დაინტერესებული:

„ცირეკიძე ჩვენი ბიზნესწილებით იყო დაინტერესებული და სწორედ ამიტომ ჩაგვიდეს იარაღი. სასამართლომ ორ მილიონამდე ქონება ჩამოგვართვა. რაც შეეხება ერთ-ერთი მეწილისთვის წილის წართმევის ბრალდებას, სიცრუეა — იმ ადამიანთან კონფლიქტი არ გვქონდა... რად უნდოდა ჩვენს დაკავებას სპეცრაზმი? ყველაფერი სამი წლის ბავშვს აყურებინეს“...

მოგვიანებით, დავით ცირეკიძე ქუთაისის სასჯლაღსრულების II დაწესებულების უფროსი გახდა. ერთ-ერთი ძმა, ირაკლი ქუთათელაძე „ვერსიას“ უამბობს, თუ როგორ უსწორდებოდნენ ციხეში:

„ჩემი ძმა, ერთ წელზე მეტი, კამერაში მარტო ჰყავდათ ჩაკეტილი და ყოველდღე რამდენიმე აბ ფსიქოტროპულ წამალს ასმევდნენ, მე კი მაწამებდნენ და ამას ჩემს ძმას აყურებინებდნენ. ბოლოს, იგი თვითმკვლელობამდე მიიყვანეს. ჩვენს წამებაში ციხის ადმინისტრაცია მონაწილეობდა“...

2012 წლის მარტში დავით ქუთათელაძე, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ციხიდან ქუთაისის ინტერვენციული მედიცინის ეროვნულ ცენტრში გადაიყვანეს. ქუთათელაძე მაშინაც ციხის უფროს დავით ცირეკიძის მხრიდან სიტყვიერ და ფიზიკურ ზეწოლაზე საუბრობდა.

დავით ცირეკიძე სასჯელაღსრულების სისტემიდან რამდენიმე თვის წინ გაათავისუფლეს. სოზარ სუბარის უწყებაში ცირეკიძის გათავისუფლების მიზეზად სისტემაში მიმდინარე რეორგანიზაციას ასახელებენ.

„ვერსია“, ქუთათელაძეების ბრალდებების გადასამოწმებლად, დავით ცირეკიძეს დაუკავშირდა:

— მათი დაკავების ინტერესი არ გვქონია. მათ ჩაიდინეს დანაშაული და ამ დანაშაულისთვის იქნენ დაკავებულნი.

— ძმები ამბობენ, რომ იარაღი სწორედ თქვენ ჩაუდეთ და ამის მოწმეებიც არსებობენ...

— არა, ბატონო, ეს სრული აბსურდია.

ძმები ქუთათელაძეების ადვოკატმა, საქმის ხელახალი გამოძიების მოთხოვნით, მთავარ პროკურატურას უკვე მიმართა, თუმცა პროკურატურაში განგვიმარტეს, რომ საქმეზე განაჩენი დამდგარია და მისი გამოძიება სასამართლოს პრეროგატივაა. უახლოეს დღეებში მსჯავრდებულები სასამართლოსაც მიმართავენ. დავით და ირაკლი ქუთათელაძეების ადვოკატის ინფორმაციით, საქმე წარმოებაში სტრასბურგის სასამართლომ უკვე მიიღო.

„ანდანტე“ — მომაკვდინებელი თინეიჯერული ექსპერიმენტი

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

მე-20 საუკუნის 80-90-იან წლებში ნარკომანთა უმრავლესობა „მორფზე იჯდა“, დღეს კი, წამალდამოკიდებულებს, როგორც იტყვიან, ფართო არჩევანი აქვთ — რუსულ ე.წ. კრაკადილზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომელიც ადამიანს რამდენიმე თვეში ალპობს, ბოლო დროს ქართველი თინეიჯერები საძილე საშუალება „ანდანტეს“ მიეძალნენ. „ანდანტეს“ ინსტრუქციაში წერია, რომ პრეპარატით მკურნალობა, მაქსიმუმ, 2 კვირას უნდა გაგრძელდეს, რადგან მის ხანგრძლივ მიღებას, შეიძლება, ფიზიკური დამოკიდებულებისა და „მოხსნის სინდრომის“ სიმპტომების განვითარება მოჰყვეს. ანოტაციის მიხედვითვე, „ანდანტეს“ სადღეღამისო დოზა 1 კაფსულაა და მისი მიღება 18 წლამდე მოზარდებისთვის არ შეიძლება. მართალია, პრეპარატის რეცეპტის გარეშე გაყიდვა აკრძალულია, მაგრამ, სამწუხაროდ, თბილისში რეცეპტის გარეშე იყიდება. უნდა შევიდეს თუ არა „ანდანტე“ სპეციალურ კონტროლსდაქვემდებარებული ნივთიერებების სიაში? — ამ კითხვით „ვერსიამ“ ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრისა და ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ექიმ-ნარკოლოგ ხათუნა თოდაძეს მიმართა.



რა ცვლილებებს იწვევს ორგანიზმში და შეიტანენ თუ არა საძილე საშუალება „ანდანტეს“ ფსიქოტროპულ ნივთიერებათა სიაში

— მართალია, „ანდანტე“ ჰიპნოზური საძილე დამამშვიდებელი საშუალებაა, მაგრამ არასპეციფიკური ქიმიური შემადგენლობა აქვს, რის გამოც, ბენზოდიაზეპინების ჯგუფის პრეპარატად არ მიიჩნევა ანუ „ანდანტეს“ მიჩვევისა და დამოკიდებულების წარმოქმნის ისეთი მაღალი პოტენციალი არ აქვს, როგორც ბენზოდიაზეპინებისა თუ ბარბიტურატების ჯგუფს და ამიტომაც სპეციალურ სიაში არაა შეტანილი. არადა, ეს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პრეპარატია, რომელსაც ახალგაზრდები და ბავშვები, გარკვეული ეიფორიის მისაღებად, დიდი დოზით — ერთდროულად რამდენიმე აბს იღებენ. მართალია, ამ გაბრუებას „კაიფს“ ეძახიან, მაგრამ რეალურად, ეს ის თრობა არაა, რაც ნარკოტიკის მოხმარებას მოჰყვება. ბავშვებს გაბრუების შემდეგ ეცვლებათ ქცევა — აგზნებულები და აგრესიულები ხდებიან; ასევე აღენიშნებათ თვითდაზიანებისკენ მიდრეკილება. თუკი ადამიანი დანიშნულებით იღებს, „ანდანტე“ ცუდი პრეპარატი არაა, მაგრამ არასრულწლოვანებზე მისი ურეცეპტოდ მიყიდვა არ შეიძლება და ამიტომ ამ პრეპარატზე კონტროლის გამკაცრება აუცილებელია. სხვათა შორის, ამ „ანდანტეს“ ზრდასრული ადამიანები, მათ შორის, ნარკოდამოკიდებულებიც ნაკლებად იყენებენ.

სკოლის ასაკის ბავშვებში „ანდანტეს“ მიღება მოდურია. არადა, პრეპარატი შრომისუნარიანობას, ყურადღების კონცენტრაციას, კოორდინირებულობას, ლოგიკურ აზროვნებასა და მოთმინებას აფერხებს... „ანდანტე“, რეალურად, ძილის კორექციისთვის გამოიყენება... მოზარდები, ერთდროულად, 2-3 და ზოგჯერ მეტ აბსაც იღებენ, მერე კი ძილის სურვილს ებრძვიან. საერთოდ, ნებისმიერი საძილე საშუალება, რომელსაც ებრძვი, შეიძლება, აგზნების ფაზაში გადავიდეს.

— „ანდანტეს“ ალკოჰოლის ან სხვა ნივთიერებასთან ერთად მიღება ორგანიზმს რა ზიანს აყენებს?

— ალკოჰოლი ნერვულ სისტემასა და ფსიქიკას მთლიანად აზიანებს, „ანდანტესთან“ ერთად კი, შეიძლება, მძიმე ინტოქსიკაცია გამოიწვიოს — კომატოზური მდგომარეობა განვითარდეს და ლეტალური შედეგი დადგეს.

ერთგვარ სოციოლოგიურ კვლევას ვატარებ და ვეკითხები აფთიაქარებს, ყიდულობენ თუ არა „ანდანტეს“ მოზარდები? — ყველას პასუხი დადებითია.

— დამოკიდებულების მოხსნა შეიძლება?

— ამ წამალზე, ძირითადად, ფსიქიკური დამოკიდებულება უყალიბდებათ, თუმცა მის არადანიშნულებისამებრ მოხმარებას ძილის დარღვევაც მოსდევს. ექიმ- სპეციალისტისა და ფსიქოლოგის ჩარევის გარეშე, დამოკიდებულების მოხსნა ძნელია.

— თქვენი ინფორმაციით, „ანდანტეს“ რა ასაკის ახალგაზრდები მოიხმარენ?

— 12-დან 24 წლამდე... სხვათა შორის, „ანდანტეს“ მომხმარებელი მერე სხვა ნარკოტიკულ საშუალებასაც სინჯავს, მაგალითად „ბიოს“. განსაკუთრებით მძიმე, აბაზანის მარილების სპაისებია. სხვათა შორის, ე.წ. სპაისებთან დაკავშირებით, კანონპროექტი პარლამენტში პირველი მოსმენით უკვე გავიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ყველაზე გავრცელებული რვა სპაისი ნარკოტიკული ნივთიერების სიაში შევა. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ შსს-მ სპაისების აღმომჩენი ტესტებიც შემოიტანა. რაც შეეხება „ანდანტეს“, საკანონმდებლო ორგანოში მალე შევა ინიციატივა, რომლითაც ეს პრეპარატი ფსიქოტროპულ ნივთიერებათა სიაში შევა...

P.S. ფარმაცევტული პროდუქციის მიმოქცევის წესების დარღვევაზე პასუხისმგებლობა, შესაძლოა, გამკაცრდეს — ამ დღეებში ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე კობა დავითაშვილმა პარლამენტს „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი წარუდგინა, რომელიც არსებული ჯარიმების გაორმაგებას ითვალისწინებს. ამავე პროექტით, სამმაგდება ჯარიმები ისეთი მედიკამენტების გაყიდვაზე, რომლებიც სპეციალურ კონტროლს ექვემდებარება. „ამ ცვლილებების მომზადება ქვეყანაში ე.წ. სააფთიაქო ნარკოტიკების მომრავლებითაა განპირობებული“, — განმარტავს დავითაშვილი, რომლის კანონპროექტის თანახმადაც, იმ კატეგორიის ფარმაცევტული პროდუქციის წესის დარღვევაზე, რომელიც განსაკუთრებულ კონტროლს ექვემდებარება და ექიმის დანიშნულების გარეშე არ უნდა გაიცეს, ჯარიმა 3-დან 9 000 ლარამდე იზრდება. აღნიშნული ქმედების განმეორებით ჩადენაზე ჯარიმა სამმაგდება და 18 ათას, ლარი იქნება.

CCN-ის „მსოფლიოს 10 ყველაზე უჭკვიანესი ადამიანის“ რეიტინგის ლიდერი ბიძინა ივანიშვილია

ireport.cnn.com-ის მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგში — „მსოფლიოს 10 ყველაზე უჭკვიანესი ადამიანი“ სიის პირველი ნომერი საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილია, მეორე — ბრიტანელი ფიზიკოსი და ასტროფიზიკოსი სტივენ ჰოუკინგი, რომელსაც ეკუთვნის თეორიულ ფიზიკაში პროგრესული კვლევები და ნამუშევრები. ჭკვიანი ადამიანების რეიტინგში მესამე ადგილი კორეელ ვუნდერკინდი კიმ უნგ-იონგის უკავია, რომელმაც 5 წლის ასაკში 5 ენა იცოდა და მათემატიკური ანალიზის დავალებებს ხსნიდა. იგი ასევე შესულია გინესის რეკორდების წიგნში, როგორც ყველაზე ჭკვიანი ადამიანი.

ამერიკელი ფილანტროპი და მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი, Microsoft-ის დამფუძნებელი პოლ ალენი რეიტინგში, ბილ გეიტსთან ერთად, მეოთხე ადგილზე მოხვდა. მეხუთეზე — ამერიკული ტელევიზიის სცენარისტი და პროდიუსერი რიკ როსნერი, მეექვსეზე — ჭადრაკის დიდოსტატი გარი კასპაროვი, მეშვიდეზე — ბირტანელი მათემატიკოსი ენდრიუ ვაიალესი, მერვეზე — უნგრელი მოჭადრაკე იუდიტ პოლგარი. სხვათა შორის, იუდიტ პოლგარი ერთადერთი ქალბატონია, რომელიც მსოფლიოს ათი ჭკვიანი ადამიანის რეიტინგში შევიდა.

ყველაზე ჭკვიანების რეიტინგში მეცხრე ადგილი კრისტოფერ ჰირატას ერგო, რომელმაც 22 წლის ასაკში, ასტროფიზიკაში მეცნიერებათა დოქტორის წოდება მიიღო.

რეიტინგის ბოლო ანუ მეათე პოზიციაზე ავსტრალიელი მათემატიკოსი ტერენს ტაოა, რომელიც 2 წლის ასაკში არითმეტიკულ ამოცანებს ასრულებდა.

„ინფო 9“

რა უჯდება ბიუჯეტს სააკაშვილის აპარტამენტების შენახვა

მე-6 გვერდიდან

რაც შეეხება ზუგდიდის სამთავრობო რეზიდენციას, აქ თითქმის იგივე სამსახურებზე თითქმის იგივე სახელფასო ფონდია. მომსახურე პერსონალის შრომითი ანაზღაურება, საერთო ჯამში, თვეში 5 800 ლარს უტოლდება, წლიურად კი — 69 600 ლარს.

მესტიის რეზიდენცია

მართალია, სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოდან „ვერსიას“ აცნობეს, რომ „მესტიის აპარტამენტები“ სააგენტოს ბალანსზე არ ირიცხება, მაგრამ დაახლოებით ორი წლის წინ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ მესტიაში, საუკეთესო ადგილზე პრეზიდენტის რეზიდენცია შენდებოდა. შენობის ერთი ხედი მესტიის დასახლება და ისტორიული კოშკები, მეორე კი, ჰაწვალი უნდა ყოფილიყო, სადაც ახალი სათხილამურო ტრასის მშენებლობაც მიმდინარეობდა. ოფიციალური ინფორმაციით, მესტიაში პრეზიდენტის რეზიდენცია კი არა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის დეპარტამენტის სასტუმრო სახლი შენდებოდა, თუმცა ადგილობრივმა მოსახლეობამ ზუსტად იცოდა, რომ სააკაშვილი მორიგ რეზიდენციას აშენებდა.

მესტიაში რომ ნამდვილად პრეზიდენტის რეზიდენცია შენდებოდა, „არ დი აის“ დირექტორმა, გურამ კვირიკაშვილმაც დაადასტურა, რომელიც იძულებული გახდა, რეზიდენციის აშენების შემდეგ საქართველო დაეტოვებინა. კომპანია „არ დი აი“ მესტიაში, პრეზიდენტის რეზიდენციის მშენებლობაში 2011 წელს ჩაერთო. გურამ კვირიკაშვილი ამბობს, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები დაუკავშირდნენ და პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დაიბარეს. შეხვედრას რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მაშინდელი მინისტრი, რამაზ ნიკოლაიშვილიც ესწრებოდა. მოკლედ, „არ დი აის“ დირექტორს მესტიის რეზიდენციის აშენება დაავალეს და კატეგორიულად მოსთხოვეს, პროექტი სამ თვეში დაესრულებინა. ამასთან, პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა გურამ კვირიკაშვილს მოსთხოვეს, მშენებლობის თანხა ბიზნესმენის კუთვნილ კომპანიას გადაეხადა, მეტი დამაჯერებლობისთვის ისიც უთხრეს, ყველაფერი ზურაბ ადეიშვილმა კარგად იცის და თქვენს კუთვნილ თანხასაც მალე დაგიბრუნებთო.

კომპანია „არ დი აიმ“ მშენებლობაში 400 000 ლარი იმ პირობით გადაიხადა, რომ თანხას დაიბრუნებდა, მაგრამ გურამ კვირიკაშვილს მხოლოდ მცირე ნაწილი გადაუხადეს. ბიზნესმენმა სიტყვა შეასრულა და მესტიის რეზიდენცია 2011 წლის ოქტომბერში დაასრულა, მაგრამ იმის გამო, რომ ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება შეიცვალა (ასპარეზზე ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა), რეზიდენციისთვის აღარავის ეცალა და შესაბამისად, პრეზიდენტს ოფიციალურად ვეღარ ჩააბარეს.

პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, „არ დი აის“ დირექტორს, გურამ კვირიკაშვილს ფინანსური პოლიციაც ავიწროებდა, რის გამოც კომპანიას სერიოზული მატერიალური ზიანი მიადგა — ფინანსური პოლიცია „არ დი აის“ დოკუმენტაციას ხუთი თვე სწავლობდა და, მართალია, დარღვევა ვერ იპოვა, მაგრამ კომპანიის სამი თანამშრომელი მაინც დაიკავეს. გურამ კვირიკაშვილი კი ზურაბ ადეიშვილის მოადგილემ, ზაზა ქაჩიბაიამ იუსტიციის სამინისტროში დაიბარა და, თანამშრომლების გათავისუფლების სანაცვლოდ, 3 000 000 ლარის გადახდა მოსთხოვა. გურამ კვირიკაშვილმა ამ რაოდენობის თანხის გადახდა ვერ შეძლო, სამაგიეროდ, თანამშრომლების გათავისუფლების სანაცვლოდ, ყვარელში, სპორტის სასახლის მშენებლობაზე დასთანხმდა. ამ პროექტს პირადად ზურაბ ადეიშვილი აკონტროლებდა და მშენებლები ყველა დეტალს სწორედ ადეიშვილთან ათანხმებდნენ. ასეთი დაძაბულობის ფონზე, ბიზნესმენმა ქვეყანა დატოვა, მაგრამ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, საქართველოში დაბრუნდა და მთავარ პროკურატურაში სარჩელი შეიტანა...

ბევრი ლუდი, ცოცხალი მუსიკა და უამრავი გასართობი — თბილისი ლუდის ფესტივალს უკვე მეოთხედ მასპინძლობს

„ნატახტარი“ ღუდის მოყვარულებს მოუწოდებს, საქეს ნასვამ მდგომარეობაში არ მიუსხდნენ!

13-14 ივლისს, კომპანია „ნატახტარმა“ ლუდის მოყვარულებისთვის ნამდვილი ზეიმი უკვე მეოთხედ მოაწყო. „თბილისის ლუდის ფესტივალი“ გრანდიოზული, ხალხმრავალი ღონისძიებაა, რომელიც საინტერესო და სახალისო სანახაობით გამოირჩევა. ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყნებში გავრცელებული ლუდის ფესტივალის პირველი, ქართული ანალოგის ორგანიზატორი და სპონსორი, ტრადიციულად, კომპანია „ნატახტარი“ იყო.

შაბათ-კვირას, „ვარდების მოედანი“ ლუდის ფესტივალს დაეთმო. სტუმრებს „ნატახტარით“, „კოზელით“, „მთიელით“, „ეფესითა“ და „კაიზერით“ გაუმასპინძლდნენ. ისევე, როგორც შარშან, წელსაც მაყურებლების განწყობაზე ცნობილი ქართული ჯგუფები და მუსიკოსები ცოცხალი შესრულებით ზრუნავდნენ — „მელოუ“, „სვანსიხი“, „ლაუდსფიქერსი“, „სალიო“, „ზარები“, „ზურგი“, ელენე კალანდაძე. „თბილისის ლუდის ფესტივალს“ კი კვირას, 14 ივლისს, ჯგუფი „შინი“ დახურავს.

სტუმრების ხალისიან განწყობაზე ჯამბაზებიც ზრუნავდნენ, გაიმართა სხვადასხვა შეჯიბრებები ლუდის სმაში. ფესტივალის ორგანიზატორებს არც ბავშვები დავიწყებიათ და „ვარდების მოედანზე“, სპეციალურად მათთვის, საბავშვო კუთხეც კი მოაწყვეს, რამაც მშობლებს საშუალება მისცა, რომ ფესტივალს შვილებთან ერთად დასწრებოდნენ.

„ვერსია“ კომპანია „ნატახტარის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, **ნინო სურმავას** გაესაუბრა.

— უკვე მეოთხე წელია, ვატარებთ „თბილისის ლუდის ფესტივალს“, რომელსაც 2010 წელს ჩაეყარა საფუძველი. თავდაპირველად მიზანი ის იყო, რომ ლუდის ქართველი მოყვარულებისთვის გვეჩუქებინა დღეები, როდესაც არა მარტო ლუდის დაგემოვნებას, არამედ — ცოცხალი მუსიკის მოსმენასაც შეძლებდნენ. დრომ გვიჩვენა, რომ ფესტივალი ძალიან საინტერესოა, მომხმარებლებს უყვართ აქ მოსვლა, ნახევარი საათია, რაც დაიწყო და როგორც ხედავთ, „ვარდების მოედანზე“ უკვე ბევრი ადამიანი მოვიდა. საერთოდ, ჩვენ, როგორც ბაზრის ლიდერები, თავს ვალდებულად ვთვლით, დადებითი გავლენა მოვახდინოთ ლუდის მოხმარების კულტურის განვითარებაზე. შესაბამისად, ლუდის ფესტივალის პარალელურად, მოვუწოდებთ მომხმარებლებს, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა გამოავლინონ და ნასვამ მდგომარეობაში საჭესთან არ დასხდნენ. რაც მთავარია, ვცდილობთ, 18 წლამდე ასაკის მოზარდებს ლუდი არ მივყიდოთ.

თეორიულად შესაძლებელია, რომ ფესტივალზე ერთი ბრენდი იყოს წარმოდგენილი, მაგრამ წელს, მომხმარებლებს ხუთ ბრენდს ვთავაზობთ და ამდენად, ღონისძიება მრავალფეროვანია. პარტნიორი კომპანიებიც გვყავს, მაგალითად, ჩიფსების მწარმოებლები, ორგანიზებაში კი ტრადიციულად, „ბეთერ ფლაი“ გვეხმარება.

— ნინო, „ნატახტარს“ ცნობადობა არ აკლია, მაგრამ ფესტივალის პერიოდში, ლუდის გაყიდვები მატულობს, ხომ?

— ფესტივალის იმიჯი წლიდან წლამდე იზრდება, გარკვეულ ხარვეზებზე კი ბევრი რამ ვისწავლეთ. ვითვალისწინებთ კომენტარებს, შენიშვნებს, რა და როგორ უნდა გაკეთდეს. შარშანდელმა ფესტივალმა, რომელსაც საკმაოდ პოზიტიური გამოხმაურება მოჰყვა, გვიჩვენა, რომ დამსწრეთა რაოდენობა და გაყიდვები აშკარად იზრდება.

მაია მიშელაძე

დემოკრატიულ საქართველოში კოცნა არ არსებობს?!

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

ავსტრალიის ქალაქ სიდნეიში სამი თვის წინ კაფე „მეტრო“ გაიხსნა, თუმცა უკვე სუპერპოპულარულია — იქ ვალუტა კოცნაა, ანუ ნებისმიერი სტუმარი, რომელიც საღამოს 9-დან 11 საათამდე კაფეში ყავის დასალევად შედის, ფულს არ იხდის — მას, ყავის სანაცვლოდ, პარტნიორის კოცნას „აიძულებენ“. და სწორედ მაშინ, როცა მსოფლიოში კოცნა ვალუტის რანგში გადის, საქართველოს პარლამენტი კანონპროექტზე მსჯელობს, რომლის მიხედვითაც, სკვერში ლუდის დალევისა და შეყვარებულთან ჩახუტება-კოცნისთვის, საზოგადოებრივი ზნეობის შელახვის საბაბით, შეიძლება, 300-დან 700 ლარამდე დაგაჯარიმონ ან 2 კვირით ციხეში გამოგკეტონ. რას ფიქრობენ თბილისელები ზემოხსენებულ ჯარიმებსა და, საერთოდ, საზოგადოებრივი ზნეობის დარღვევაზე? — ამის გასარკვევად „ვერსია“ „ალექსანდროვის ბაღს“ ესტუმრა, რომელიც წლებია, წყვილთა თავშეყრის ადგილად ითვლება... ძელსკამზე საშუალო ასაკის სამი ქალბატონი ზის... მოშორებით, ახალგაზრდა წყვილი ერთმანეთს ეალერსება.

— ამათზე არც კანონი ჭრის და არც — ჯარიმა, რა ენაღვლებათ — მამიკო გადაუხდის... ნახე, ნახე, რა დღეში არიან, — ცხარობს ქერა მანდილოსანი.

— ეს რომ ჩემი შვილი იყოს, თმას გავაცლიდი.

— გააცლიდი, თორემ შენ დაგანახებდა ზუსტად, რას აკეთებს. რა იცი, ჩვენი შვილები თავის დროზე შეიძლება, უარესებს აკეთებდნენ, — სიტყვა გააწყვეტინა შავკაბიანმა.

— რა ამბობ, ჩემი შვილი ამას გამიბედავდა?!

— რას გაბედავდა — 18 წლის გახდა თუ არა, ხელი მოკიდე და გაათხოვე თოთო ბავშვი.

— რო გაათხოვა, მიტომაც უზის ახლა სახლში გაუბედურებული, — ჩაიქირქილა მესამე დიაცმა.

საუბარში რომ არ ჩავრეულიყავი, ქალბატონების კამათი ჩხუბში გადაიზრდებოდა.

— ახალგაზრდების ალერსს ასე რატომ აპროტესტებთ?

— რა ზნეობაა, ყველას დასანახად კოცნის დემონსტრირება — გვახარბებენ ახალგაზრდობას?! — აგრესიულად მპასუხობს ქერა.

— დახარბება რა შუაშია? ორ ადამიანს, უბრალოდ, ერთმანეთი უყვარს...

— ალერსი სახლში, საძინებელში ვიცი და არა საჯაროდ.

— ვისაც შეყვარებული შინ ვერ მიჰყავს, იმან რა ქნას?

— კეთილი ინებოს და, ცოლად მოიყვანოს.

საუბარში ისევ შავკაბიანი ერთვება:

— ცოლად მოიყვანოსო, რომ ამბობ, როგორ მოიყვანოს, თუ არ შეეწყვნენ ერთმანეთს? ცოლ-ქმრობა შენ ადვილად წარმოგიდგენია. ოჯახი სხვა ტვირთია, მით უმეტეს, ამ უმუშევრობისა და უფულობის ხანაში.

რამდენიმე წუთში ქალბატონებმა ბაღი დატოვეს, თუმცა ძელსკამზე მათი ადგილი სხვებმა დაიკავეს: ერთ დიაცს ფსკვნილი და ლოცვანი ეჭირა, მეორეს — საეკლესიო წიგნი. ლოცვანი ჩანთაში ჩადო, საიდანაც წითელი უფილტრო „ასტრა“ ამოიღო, მოუკიდა და მკითხა, ბოლი ხომ არ გაწუხებსო. არა-მეთქი, მივუგე და სიტყვა ზემოხსენებულ საჯარიმო სანქციებზე ჩამოვუგდე.

— ჯარიმები უნდა დააწესონ, აბა, რა?! პარკში ვეღარ დავმსხდარვართ პატიოსანი ხალხი. აქეთ გაიხედავ, კოცნიან ერთმანეთს, იქით გაიხედავ, კოცნიან, ნუ, რას ჰგავს?! ამ პარკში მორწმუნე ხალხი ვსხდებით ხოლმე, ეკლესიაში რომ ტევა არ არის და სული გვეხუთება, ხანდახან ლოცვების კითხვა გვიწევს და, გინდა არ გინდა, თვალი მათკენ გაგვირბის — ჩვენც ცოდვაში გვაგდებენ და თავიანთ თავსაც. ჯარიმა რომ იქნება, ამდენს ვეღარ გაბედავენ.

— ცოდვაში რატომ გაგდებენ?

— აბა, ზიარების წინ ლოცვებს რომ ვკითხულობ და თვალი უხამსობისკენ გამექცევა, ეს რა არის?

— ისე, ქალბატონო, ზიარების წინ, სიგარეტის მოწევაც, მგონი ცოდვაა... თქვენი აზრით, კოცნაზეც იმხელა ჯარიმა უნდა არსებობდეს, რამდენიც ნარკოტიკის მოხმარებაზე?

— უფრო მეტიც უნდა იყოს! ორივე — კოცნაც და ნარკოტიკიც ეშმაკმა ადამიანის საცდუნებლად მოიგონა!

— ქალბატონო, ეკლესია ხომ ქადაგებს, ღმერთი სიყვარულიაო?

— მერე, სიყვარულს ვინ უშლის, ხომ შეიძლება, კოცნის გარეშე უყვარდეთ ერთმანეთი?!

„თავს ევროკავშირსა და ნატო-ში შესვლაზე დებენ და გაევროპელებას ამ სამარცხვინო კანონით აპირებენ?!“

სიგარეტმომარჯვებულ მორწმუნე ქალბატონებს დავემშვიდობე და გეზი ახალგაზრდებისკენ ავიღე....

— მაგ აკრძალვებით რომ ვერაფერს მიაღწევენ, ხომ იციან?! აკრძალულია ნარკოტიკის მოხმარება, მაგრამ ხალხი მაინც მოიხმარს. აკრძალვა გარკვეულ აზარტს აჩენს, კოცნისთვის ამხელა ჯარმა უსამართლობაა — პატიმრობა „გაუმზადო“ ახალგაზრდას იმის გამო, რომ ვიღაც პროფესორის, რომელიც ბაღში წიგნებს კითხულობს, გული მოიგო, რომ მერე არჩევნებზე ხმა მოგცეს, — მეუბნება 19 წლის გუგა.

საუბარში მისი მეგობარი ნათია ერთვება:

— თავს ევროკავშირსა და ნატო-ში შესვლაზე დებენ და გაევროპელებას ამ სამარცხვინო კანონებით აპირებენ?! კოპირება გაუკეთეს კომუნისტურ კანონებს!

— ასეთ რაღაცებზე ჯარიმების დაწესება არასწორია. გუშინ, მეგობართან ვიჯექი აქ, დედას ვფიცავ, მარტო ხელი ჰქონდა გადახვეული და დაცვამ შენიშვნა მოგცა, ერთმანეთს მოშორდითო. იმის მაგივრად, რომ ერთმანეთის სითბო და სიყვარული ჩაგვინერგონ და ხელი შეგვიწყონ, ჯანსაღი ოჯახები შევქმნათ, ხიშტით გვერეკებიან საბჭოეთში, სადაც სიტყვა „სექსის“ წარმოთქმა აკრძალული იყო, პრეზერვატივის და სხვა დამცავი საშუალებების გაყიდვა — დანაშაული, აბორტი კი კარგ ტონად ითვლებოდა, — განმიცხადა ქერათმიანმა ელენემ.

პირველი საგრანტო კონკურსის პირველი პროექტი აჭარელი ბავშვებისთვის

ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის პირველი საგრანტო კონკურსის გამარჯვებული ერთ-ერთი პროექტის - "აჭარის მაღალმთიანი რეგიონის სკოლის მოსწავლეთა სამოქალაქო განვითარების ხელშეწყობა" დასრულდა. პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა აჭარის მაღალმთიანი რეგიონის - ხულოსა და შუახევის მოსწავლეების სამოქალაქო განათლებას, იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ამ რეგიონის ახალგაზრდებისთვის ეს პირველი პროექტი გახლდათ. აქამდე ამ რეგიონების მოსწავლეებისთვის მსგავსი პროექტი არ განხორციელებულა.

"ეს პირველი პროექტია, რომელიც ჩვენი ბავშვებისთვის განხორციელდა და მათ სამოქალაქო განათლებას შეუწყო ხელი, ჩვენს რაიონში მსგავსი პროექტი, რომლის ბენეფიციარებიც ბავშვები იქნებოდნენ აქამდე არ განხორციელებულა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო სპროტის და ახალგაზრდობის სამინისტროს, ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდს, რომელმაც პრიორიტეტულად მიიჩნია პროექტის განხორციელება აჭარის მაღალმთიანი რეგიონის ახალგაზრდებისთვის. პროექტი ძალზე მნიშვნელოვანი იყო ბავშვებისთვის, მათ მიიღეს სახელმწიფოსთან ურთიერთობისთვის საჭირო ინფორმაციები, პრაქტიკულად გაეცნენ საჯარო სამსახურების საქმიანობას, შეხვდნენ საჯარო მოხელეებს, ნახეს როგორ ხორციელდება მართლმსაჯულება. ბავშვებმა მიიღეს ის საჭირო ინფორმაციები, რომელიც მათ საჯარო სამსახურებთან ურთიერთობაში დაეხმარებათ. აქვე მინდა ვთქვა, რომ ამ პროექტის ფარგლებში განხორციელებული ერთ-ერთი აქტივობისას - განათლების სამინისტროში შეხვედრისას ერთ-ერთმა დეპარტამენტის უფროსმა თქვა, რომ დეპარტამენტში ვაკანსიები იყო, ამ შეხვედრის შემდეგ მათ ერთ-ერთმა ახალგაზრდამ სამსახურში მიღების განცხადებით მიმართა და მისი თხოვნა დააკმაყოფილეს - ის დღეს დასაქმებულია და ეს სწორედ ამ პროექტის დამსახურებაა. სასურველია, მსგავსი ხასიათის პროექტები სესტემატურად განხორციელდეს ჩვენს რეგიონში, აქ არაჩვეულებრივი ბავშვები ცხოვრობენ, რომლებიც ამ პროექტის შედეგად უფრო მოტივირებულები გახდნენ და უკვე თავად გაუჩნდათ სურვილი აქტიურად ჩაებან სამოქალაქო საქმიანობაში," - პროექტის დასრულების აღსანიშნავად გამართულ ღონისძიებაზე განაცხადა შუახევის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმ ზაურ დავითაძემ.

9 ივლისს პროექტის "აჭარის მაღალმთიანი რეგიონის სკოლის მოსწავლეთა სამოქალაქო განვითარების ხელშეწყობა" ფარგლებში ჩატარებულ კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოვება შუახევში გაიმართა. კონკურსში, რომელიც შემეცნებითი ხასიათის იყო 100-მდე მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა და მათ უნდა წარმოადგინეს ნაშრომები (ფოტო, ლექსი, ნახატი, პროზაული ნაწარმოები და ა.შ,), მათი (ახალგაზრდული) და რეგიონის პრობლემების შესახებ და შემოგვათავაზეს პრობლემების გადაწყვეტის მათეული ხედვა. კონკურსის შედეგად გამოვლინდა სამი გამარჯვებული: ნენიის საჯარო სკოლის მე-12-ე კლასის მოსწავლე მარიკა მიქელაძე, ხიჭაურის საჯარო სკოლის მე-12-ე კლასის მოსწავლე ქეთევან ქარცივაძე და შუახევის საჯარო სკოლის მოსწავლე ქეთევან თავდგირიძე. გამარჯვებულებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები: "სამსუნგის" ფირმის მობილური ტელეფონები და საქართველოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით გამოცემული წიგნი "საქართველოს ფასეულობები - ჩვენი ბუნება".

პროექტი, რომელიც ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდმა დააფინანსა და არასამთავრობო ორგანიზაცია "საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფმა" განახორციელა სამთვიანი და რამდენიმეეტაპიანი გახლდათ. პროექტის მიზანი იყო აჭარის მაღალმთიანი რეგიონების - შუახევისა და ხულოს საჯარო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა. პროექტში ასზე მეტმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა, მათ ჩაუტარდათ "სამოქალაქო სწავლების" კურსი, სადაც ახალგაზრდებმა მიიღეს ინფორმაციები არასრულწლოვანთა და ზოგადად, ადამიანის უფლებების თაობაზე; საჯარო სამსახურების საქმიანობის წესის შესახებ, სხვადასხვა სახის პრობლემების არსებობისას როგორ უნდა მიმართონ შესაბამის უწყებებს და რა უფლება-მოვალეობები გააჩნიათ მათ; მიიღეს ინფორმაციები სამართალდამცავი ორგანოების, მართლმსაჯულების განხორციელების და, ზოგადად, სახელისუფლებო შტოების უფლებებსა და მოვალეობებზე; ახალგაზრდებმა, როგორც მომავალმა საარჩევნო სუბიექტებმა, მიიღებეს ინფორმაციებს საარჩევნი პროცედურებთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მიიღონ მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში; ახალგაზრდები ასევე, როგორც პოტენციური მომავალი ნაფიცი მსაჯულები მიიღებენ დეტალურ ინფორმაციას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თაობაზე, კონკრეტულად, ნაფიც მსაჯულთა უფლება-მოვალეობების შესახებ; მიიღეს ინფორმაციები განათლების, შრომისა და სოციალური გარანტიებისა და უფლებების შესახებ და სხვა აქტუალურ სამართლებრივ თემებზე. "საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფის" წარმომადგენელთა განცხადებით, სასწავლო კურსი ინტერაქტიულ რეჟიმში ჩატარდა და ბავშვებმა დიდი ინტერესი გამოხატეს მის მიმართ. ტრენერებმა პასუხი გასცეს მათ მიერ დასმულ ყველა შეკითხვას.

სკოლის მოსწავლეებს საჩუქრად გადაეცათ "საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფის" მიერ გამოცემული წიგნები: "ბავშვი და სამართალი", "სამოქალაქო განათლების ლექსიკონი", "ნაფიც მსაჯულთა სასამართლო". დაურიგდათ ბუკლეტები - რა არის მართლმსაჯულება; როგორ მივმართოთ სასამართლოს; როგორ დავიცვათ საკუთარი უფლებები; ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

"ერთი დღე საჯარო სამსახურში" პროექტის მომდევნო ეტაპი ამ რუბრიკით განხორციელდა. გარდა თეორიული გაკვეთილებისა, ახალგაზრდებისთვის მოეწყო გასვლითი ღონისძიებები ბათუმში, სადაც ადგილზე გაეცვნენ საჯარო სამსახურების საქმიანობას. მოსწავლეებმა დაათვალიერეს საკონსტიტუციო სასამართლო და ბათუმის სასამართლო. შეხვდნენ სასამართლოების თავმჯდომარეებს, გაეცვნენ, თუ როგორ და სად ხორციელდება მართლმსაჯულება. დაათვალიერეს ბათუმის იუსტიციის სახლი და მიიღეს ინფორმაციები იქ არსებული სერვისების თაობაზე. ღონისძიების ფარგლებში აჭარის მაღალმთიანი რეგიონების დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებმა, ასამდე ახალგაზრდამ 1 დღით სახელმწიფო სტრუქტურის მუშაობაში მიიღეს მონაწილეობა და შეხვდნენ საჯარო მოხელეებს. მოსწავლეებმა დაათვალიერეს აჭარის მთავრობის რეზიდენცია, შეხვდნენ განათლების მინისტრს, მის მოადგილეებს, კულტურილი მემკვიდრეობის სააგენტოსა და ახალგაზრდობის და სპორტის დეპარტამენტის წარმომადგენლებს. ახალგაზრდებმა ყველა მათთვის საინტერესო საკითხზე მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია.

პრაქტიკულ საგანმანათლებლო ღონისძიებას "ერთი დღე საჯარო სამსახურში" დაესწრნენ ბავშვთა და ახალგაზრდობის ფონდის დირექტორი ირაკლი ჟორჟოლიანი და დირექტორის მოადგილე მურმან პატარაია. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. ირაკლი ჟორჟოლიანმა და მურმან პატარაიამ ბავშვებს მიაწოდეს ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობის, დაგეგმილი და განხორციელებული პროექტების შესახებ. ისაუბრეს ფონდში საპროექტო განაცხადის შეტანის წესზე და ბავშვებს მათთან აქტიური თანამშრომლობისკენ მოუწოდეს - ფონდში საპროექტო განაცხადების შეტანისა და მათი რეგიონის განვითარებასა და მართვაში აქტიურად ჩართვისთვის.

აღსანიშნავია, რომ პროექტმა ბავშვების დიდი ინტერესი დაიმსახურა, რის გამოც ისინი საკმაოდ აქტიურად იყვნენ პროექტის განხორციელებაში ჩართული. ამის დასტურია ის, რომ პროექტის მონაწილე ბავშვებმა სოციალურ ქსელში დამოუკიდებლად შექმნეს სპეციალური გვერდი "გზა წარმატებისკენ", სადაც პროექტის მიმდინარეობის და ზოგადად, მათი სამოქალაქო აქტიურობის თაობაზე ათავსებენ ინფორმაციებს.

"ჩვენ აქ გავიგეთ, რომ ეს იყო პირველი პროექტი ამ რეგიონის ბავშვებისთვის, მანამდე მსგავსი პროექტი არ განხორციელებულა. ამან კიდევ უფრო გაგვიძლიერა სურვილი, რომ წარმატებით დაგვესრულებინა პროექტი. ყველა პროექტი მისი შედეგით ფასდება და თამამად შემიძლია თქმა, რომ პროექტი წარმატებით განხორციელდა, რადგანაც შედეგი მივიღეთ არაჩვეულებრივი, რაც ბავშვების დამსახურებაა. მათ რომ არ გამოეჩინათ აქტიურობა, ინტერესი და არ გამოეთქვათ სურვილი ჩაბმულიყვნენ პროექტის მიმდინარეობაში სასურველ შედეგს ვერ მივიღებდით.

პროექტი ბავშვთა და ახალგაზრდობის ფონდის პირველი საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა და როგორც უკვე გითხარით, მანამდე მსგავსი პროექტი ამ რეგიონის ბავშვებისთვის არ განხორციელებულა. ბავშვთა და ახალგაზრდობის ფონდმა - სახელმწიფომ ამ პროექტით კაპიტალი დააბანდა ახალგაზრდებში და დადებით შედეგს ისევ სახელმწიფო მიიღებს. ის, რომ ფონდისთვის მსგავსი ტიპის პროექტები პრიორიტეტულია, ძალზე მისასალმებელია სხვადასხვა ფაქტორების გამო და პირველ რიგში, იმიტომ, რომ აჭარის მაღალმთიანი რეგიონის ახალგაზრდებს სახელმწიფოს ყურადღება აკლდა. ამ დეფიციტის ამოვსება ბავშვთა და ახალგაზრდობის ფონდმა დაიწყო და იმედი მაქვს, რომ მომავალშიც გააგრძელებს ამ მიმართულებით მუშაობას. აქვე მინდა ვთქვა, ბავშვებს საოცრად დადებითი ემოცია გაუჩნდათ, როცა გაიგეს, რომ ეს პროექტი მათთვის, მათი მომავლისთვის განახორციელა ფონდმა.

ახლა უკვე თავად ჩვენი პატარა მეგობრები აპირებენ თავიანთი იდეებით მიმართონ ფონდს და თავად ჩაებან სამოქალაქო აქტიურობაში, აქვთ ძალზე საინტერესო გეგმები, პროექტები, ფიქრობენ მათი სოფლის, რაიონის მოწყობა-პატრონობაზე და ამ პროექტის დადებითი შედეგიც სწორედ ის არის, რომ ახალგაზრდებს სამოქალაქო მოტივაცია გაუჩნდათ," - განაცხადა "საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფის წარმომადგენელმა", პროექტის დირექტორმა ინგა ალავიძემ.

ერთი დღე საჯარო სამსახურში

პროექტის ფარგლებში აჭარის მაღალმთიანი საჯარო სკოლის მოსწავლეებს უმასპინძლა ბათუმის იუსტიციის სახლმა. იუსტიციის სახლის მენეჯერმა ბავშვებს დაათვალიერებინა შენობა და გააცნო ყველა სერვისი, რომლით სარგებლობაც შეუძლია მოსახლეობას.

პროექტის ფარგლებში მოსწავლეები ეწვივნენ საკონსტიტუციო სასამართლოს, სადაც დაათვალიერეს ისტორიული შენობა, სასამართლოს დარბაზები, სპეციალური გამოფენა. მოსწავლეებს საკონსტიტუციო სასამართლოს, მისი ფუნქციებისა და საქმიანობის შესახებ ესაუბრა საკონსტიტუციო სასამართლოს პრესსპიკერი, სასამართლოს თავმჯდომარის თანაშემწე. მოსწავლეებს შეხვდა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, რომელმაც მოსწავლეებს გააცნო საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა და უპასუხა მოსწავლეების მიერ დასმულ შეკითხვებს.

ახალგაზრდები ეწვივნენ ბათუმის სასამართლოს, სადაც ადგილზე გაეცვნენ თუ როგორ ხორციელდება მართლმსაჯულება, დაესწრნენ მიმდინარე პროცესს, დაათვალიერეს დარბაზები, ნახეს ცოტა ხნის სპეციალურად წინ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვის გაკეთებული დარბაზი. ბავშვებს შეხვდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც ახალგაზრდებს ესაუბრა სასამართლოს, მოსამართლის, სასამართლო ატრიბუტიკის, სამართალწარმოებსა და, ზოგადად, მართლმსაჯულების შესახებ. მან უპასუხა მოსწავლეების შეკითხვებს.

ერთი დღე საჯარო სამსახურში

ახალგაზრდებმა დაათვალიერეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შენობა, გაეცნენ აჭარის მთავრობის სტრუქტურასა და საქმიანობის წესს.

მოსწავლეებს შეხვდა აჭარის განათლების, სპორტისა და კულტურის მინისტრი, მისი მოადგილეები, აჭარის ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის უფროსი. მოსწავლეები გაეცნენ საჯარო სამსახურების საქმიანობას, მათთან ურთიერთობის წესს, კონკრეტულად, მინისტრთან კომუნიკაციის საშუალებებს და სამინისტროში და ახალგაზრდულ დეპარტამენტში არსებულ სიახლეებს. შეხვედრას დაესწრნენ ბავშვთა და ახალგაზრდობის ფონდის დირექტორი ირაკლი ჟორჟოლიანი და მისი მოადგილე მურმან პატარაია.

შეხვედრა რამდენიმე საათის მანძილზე მიმდინარეობდა და მოსწავლეთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

პროექტის ფარგლებში აჭარის მაღალმთიან რეგიონების დამამთავრებელი კლასის 100-მდე მოსწავლეს პოპულარულ ენაზე, ინტერაქტიულ რეჟიმში ჩაუტარებდათ ლექციები სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიზნით. სულ ჩატარდა 6-6 სასწავლო-შემეცნებითი გაკვეთილი **შემდეგ თემებზე:**

ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებზე, მათი დარღვევის შემთხვევაში, ვის და როგორ უნდა მიმართონ; მოსწავლეებმა მიიღებეს ინფორმაციას სამართალდამცავი ორგანოების, მართლმსაჯულების განხორციელების და, ზოგადად, სახელისუფლებო შტოების უფლებებსა და მოვალეობებზე; ახალგაზრდებმა, როგორც მომავალმა საარჩევნო სუბიექტებმა, მიიღებეს ინფორმაციები საარჩევნი პროცედურებთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მიიღონ მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში; მათ, როგორც პოტენციურმა ნაფიცმა მსაჯულებმა მიიღებენ დეტალურ ინფორმაციები ახალი ინსტიტუტის - ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თაობაზე. გაეცნენ ამ ინსტიტუტის თაობაზე უცხოურ პრაქტიკას და არსებულ სასამართლო პრეცედენტებს. მიიღეს ინფორმაციები განათლების, შრომისა და სოციალური გარანტიებისა შესახებ; ახალგაზრდები გაეცნენ ქალთა უფლებებს; გაიგეს რა არის ოჯახური ძალადობა და მსგავსი ფაქტის არსებობის შემთხვევაში როგორ უნდა დაიცვან თავი მოძალადისგან; მიიღეს ინფორმაციები არასრულწლოვანთა უფლებების შესახებ; როგორ უნდა მოიქცნენ მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში. გაეცვნენ უფლებადაცვითი სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებისადმი მიმართვიანობის წესებს და საფუძვლებს. ასევე, მიიღეს ინფორმაციები, რა სანქციებია დაწესებული ამა თუ იმ სახის დანაშაულის ჩადენისას. პროექტის ფარგლებში ახალგაზრდებმა მიიღეს ინფორმაცია არასამთავრობო ორგანიზაციის ფუნქციების და საქმიანობის შესახებ. მიიღეს ინფორმაცია როგორ უნდა დაფუძნონ არასამთავრობო ორგანიზაცია და როგორ დაწერონ პროექტი, რათა სამომავლოდ თავად შეძლონ საკუთარი რეგიონის განვითარებაში წვლილის შეტანა. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეები ძალზე აქტიურად ჩაერთვნენ ტრენინგების მიმდინარეობაში.

კონკურსში გამარჯვებულები

პროექტის ფარგლებში ჩატარდა შემეცნებითი კონკურსი პროექტში მონაწილე მოსწავლეებისთვის, რომლის მეშვეობითაც შემოწმდა, რა ცოდნა მიიღეს ახალგაზრდებმა.

კონკურსის შედეგად გამოვლინდა სამი გამარჯვებული: ნენიის საჯარო სკოლის მე-12-ე კლასის მოსწავლე მარიკა მიქელაძე, ხიჭაურის საჯარო სკოლის მე-12-ე კლასის მოსწავლე ქეთევან ქარცივაძე და შუახევის საჯარო სკოლის მოსწავლე ქეთევან თავდგირიძე. პირველ-მეორე ადგილზე გასულ პრიზიორებს მარი მიქელაძეს და ქეთევან ქარცივაძეს გადაეცათ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების მიერ დაწესებული ფასიანი საჩუქრები: "სამსუნგის" ფირმის მობილური ტელეფონები, ხოლო მესამე ადგილზე გასულ ქეთევან ქარცივაძეს "საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფის" მიერ გადაეცა საქართველოს პატრიარქის ლოცვაკურთხევით გამოცემული წიგნი "საქართველოს ფასეულობები - ჩვენი ბუნება".

9 ივლისს პროექტის "აჭარის მაღალმთიანი რეგიონის სკოლის მოსწავლეთა სამოქალაქო განვითარების ხელშეწყობა" ფარგლებში ჩატარებულ კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოვება შუახევში გაიმართა.

კონკურსში, რომელიც შემეცნებითი ხასიათის იყო 100-მდე მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა და მათ უნდა წარმოადგინეს ნაშრომები (ფოტო, ლექსი, ნახატი, პროზაული ნაწარმოები და ა.შ,), მათი (ახალგაზრდული) და რეგიონის პრობლემების შესახებ და შემოგვათავაზეს პრობლემების გადაწყვეტის მათეული ხედვა.

მარიკა მიქელაძე: "ვცხოვრობ სოფელ ნენიაში და ნენიის საჯარო სკოლაში ვსწავლობ. პირველ რიგში უდიდეს პატივს ვცემ და ძალიან ვაფასებ ჩემს მშობლებს, მასწავლებლებს, მათ ამაგს ვერასოდეს გადავიხდი. მინდა ექიმი გამოვიდე და ვიყო საუკეთესო პროფესიონალი. მაგრამ მანამდე მინდაა რამე ისეტი გავაკეთო რომ ჩემს სოფელს, რომ წაადგება და თანასოფლელებს გაეხარდებათ. უამრავი სურვილი მაქვს, მაგრამ მხოლოდ ოცნებაზე არ ვარ მინდობილი, ვეძებ გზებს რომ ავასრულო ჩემი ფიქრები.

მომწონს ფოტოების გადაგება, სასიამოვნო მუსიკის მოსმენა, პიანინოზე დაკვრა, წიგნების კითხვა. ჩემი თვისებებიდან რამდენიმეს გამოვარჩევ: ვარ მიზანდასახული, შრომისმოყვარე, წინდახედული.

დიდი მადლობა ამ პროექტისთვის, იმ სითბოსთვის და ყურადღებისთვის რაც მივიღეთ. ძალიან მიხარია, რომ კონკურსში გავიმარჯვე, ვეცდები კიდევ უფრო აქტიურად გამოვიყენო ჩემი შესაძლებლობები. "

თამუნა ქარცივაძე: "დავიბადე 1995 წლის 20 დეკემბერს შუახევის რაიონის სოფელ ცივაძეებში. ვარ 17 წლის. ვსწავლობ ხიჭაურის საჯარო სკოლის მე-12 კლასში. მყავს დედა, მამა და ძმა. მიყვარს მუსიკა, ცეკვა, წიგნების კითხვა, ფოტოხელოვნება, მეგობრებთან ერთად გართობა. ჯერ პროფესია არჩეული არ მაქვს, თუმცა ვფიქრობ, გავხდე იურისტი. დიდი მადლობა დაჯილდოვებისთვის და ასევე, ძალიან დიდი მადლობა ამ პროექტის განხორციელებისთვის. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს ტრენერებს, რომლებმაც ბევრი საინტერესო ინფორმაცია მოგვცეს, ვეცდები, რომ მათი იმედები გავამართლო."

ქეთი თავდგირიძე: "მე ვარ ქეთი ქარცივაძე 17 წლის. დავიბადე 1996 წლის 20 სოფელ ცივაძეებში. მყავს დედა,მამა, ორი და და ერთი ძმა და ბაბუა. ვსწავლობ ხიჭაურის საჯარო სკოლაში,ვარ მე-12 კლასში. ჩემი ჰობია მუსი კა და წიგნების კითხვა. რაც შეეხება ჩემს სურვილს მინდა გავხდე იურისტი ან ექიმი. კიდევ ერთი დიდი სურვილი მაქვს, ჩვენი რაიონის არაჩვეულებრივი ბუნება დავიცვა და გავუფრთხილდე. ამ პროექტის შემდეგ გაგვიჩნდა სურვილი დავასუფთაოთ და გავალამაზოთ ჩვენი სკოლის ეზო. სხვა იდეებიც გვაქვს და მათაც აუცილებლად განვახორციელებთ. ძალიან მიხარია, რომ პროექტის კონკურსში გავიმარჯვე და ძალიან საინტერესო საჩუქარი გადმომცეს."

ქარზამეთის ტაძრის დეტალები

ქვათა მატიანე

ქარზამეთის ლეგენდა

დასავლეთ ჯავახეთი

გელა ქოქიაშვილი

გიორგობისთვის წვიმისაგან დამბალი ბუზმარეთის ზეგანი შემოდგომის მზემ ჯერ ვერანაირად მოაშრო. ვიცით, მანქანის მინდორში გადაყვანა ძვირად დაგვიჯდება. წინა ჯერზეც, გუნდის და შუატყის ეკლესიებამდე მისვლას და გამობრუნებას, დიდი ძალა და ნერვები შევალიეთ, ახლა კი **ბუზმარეთისა** და **ვანის** ეკლესიებამდე ჯერ დიდი აღმართი გვაქვს ასავლელი, მერე კი შოლას (შულავერის) ხევი გადასალახი. ამიტომ განზრახვაზე ხელს ვიღებთ და გზას ნიალის ველის ყველაზე დიდი სოფელიც კი იყო. ასეთი დასკვნების გამოტანის უფლებას აქაური წმინდა გიორგის დარბაზული საყდარი გვაძლევს. სიგრძესა და სიმაღლეში იგი 12 მეტრამდეა, სიგანეში — 7 მეტრამდე. აღმოსავლეთ სარკმლის მარჯვნივ არსებული წარწერა ასე იკითხება: **„წმინდაო გიორგი, მთავარმოწამეო, მეოხ ეყავ ორთავე შინა ცხოვრებათა ფოფს“** ქტიტორის ვინაობა - ფოფი უთუოდ გასაშიფრია.

ტაძრის სარკმლების თასმა-ზღუდარები და სამხრეთ პორტალის არქივოლტი მკვეთრად გამოხატული შეისრული ფორმისაა (მუზარადის მსგავსი), რაც ისლამური ზეგავლენით გვიანი ფეოდალური ხანიდან მკვიდრდება ჩვენში. სანაცვლოდ, ინტერიერში უკლებლივ ყველა თაღი ტრადიციულად ნახევარწრიულია. ექვთიმე თაყაიშვილი ტაძარს XV საუკუნეს განაკუთვნებს, ვახტანგ ბერიძე კი XIII-XIV საუკუნეთა მიჯნას, როცა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ჯვრები დომინანტური მდგომარეობისაკენ ისწრაფვიან. რაც შეეხება ფასადური თაღედების მუზარადისებრ ფორმას, იგი გავეთშიც ისე ნაადრევად შემოსულა, როგორც ჭულესა და დაბაში.





გავეთის ტაძარი და მისი კარ-სარკმელი

გავეთის ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებით არსებობს ასეთი ლეგენდა: ამ მხარეში ყოფილა ერთი ცნობილი კალატოზი, რომელსაც ბევრი ეკლესია ჰქონია აგებული. ერთხელაც ეს კალატოზი მაწყვერელი ეპისკოპოსის ხუროთმოძღარს დაუბარებია და ქარზამეთში დიდი ტაძრის აგება დაუვალებია. კალატოზს კედლის აყვანა რომ დაუწყია, ხუროთმოძღვართან უთანხმოება მოსვლია, ქარზამეთიდან გავეთში გადმოსულა და ეს ტაძარიც მარტოს აუგია.

როგორც ყველა ლეგენდა, ესეც ზღაპარს წააგავს, მაგრამ რაღაც საფუძველი თუ საბაბი რომ უნდა ჰქონოდა, ესეც უდავოა. აი, ამის დასადგენად მივეშურებით ქარზამეთისაკენ.

ქარზამეთი გავეთიდან სამხრეთ-დასავლეთით 7 კილომეტრშია. თავის დროზე, გავეთიც სასაზღვრო ტერიტორიაში იყო მოქცეული, ქარზამეთი კი ახლაც ზედ სასაზღვრო ხაზზე მდებარეობს. აქ განლაგებულია ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი სასაზღვრო რაზმი, რომელიც რამდენიმე საგუშაგოს აერთიანებს. მასპინძლობასა და ეტიკობას აქაურ მესაზღვრეთა ერთ-ერთი უფროსი, ადგილობრივი წარმოშობის ოფიცერი გვიწევს. ჩვენი „ნივიდან“ მის „უაზში“ ვბარგდებით და მავთულხლართების ორ ზღუდეს გავდივართ. აქა-იქ გაურკვეველ ნაგებობათა ნაშთებს ვხედავთ.

მანქანა მკვეთრად უხვევს მარჯვნივ და სულ მალე თვალწინ დიდი ნაგებობის უცნაური სილუეტი წამოიმართება.

ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც ამ ადგილებს სამცხეს განაკუთვნებს, წერს: **„მიერთვის მტკვარსვე ქარზამეთის ხევი, გამომდინარე მისვე მთისა (**იგულისხმება ერუშეთის მთა — **გ.ქ.) და მომდინარე აგრეთვე. ქარზამეთს არს მონასტერი გუმბათიანი, მდიდრად შენი და აწ ცალიერი“.**

ტოპონიმის ახსნას ვცდილობ და ვამბობ, რომ „ქარზმეთი“, ალბათ, კარს ზემოთა ალაგს უნდა ნიშნავდეს.

50 მეტრში, დაბალ ხევში მცირე მდინარე მიედინება ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. ოფიცერს ვეკითხები: — ამ მდინარეს ქარზამეთის წყალი ჰქვია და მეორე მხარეს თურქეთის სოფელია, ხომ?

— ასეა, იქით თურქეთია და ვიცი, რომ ახლა საიდანღაც მათი ასკერი გვითვალთვალებს. მე აუცილებლად მცნობს.

— იმ ქვედა ალაგს, სადაც ხეობა რამდენადმე იკუმშება, ერთგვარი კარის ფუნქცია უნდა ჰქონოდა, არტაანიდან ჯავახეთში შემომავალი კარისა, — ვუბრუნდები ტოპონიმის ახსნას — ჩვენ ახლა იმ კარს ზემოთ ვიმყოფებით, ესე იგი კარს ზემოთში ანუ ქარზამეთში ვართ. ძირში კი ოლოდის ეკლესიაა...

არ ვიცი, ტოპონიმის ასე სახელდახელო ახსნა, რამდენად მისაღებია, მაგრამ უკეთესიც არსად წამიკითხავს.

... ტაძართან მივდივართ. ასე, ერთ დონეზე შემორჩენილი ნანგრევები არსად მინახავს. სიგრძეში 20 და სიგანეში დაახლოებით 10 მეტრის მქონე ტაძრის ყველა კედელი 2,5-დან 3 მეტრამდე ნიშნულზეა შენარჩუნებული, იფიქრებ, ხერხით გადაჭრესო. მართალია, აქა-იქ ბლომად ქვა ყრია, მაგრამ არც იმდენი, რომ ტაძრის კედლების ბოლომდე აყვანას ეყოს. **ექვთიმე თაყაიშვილი ფიქრობდა, რომ ნაგებობის მშენებლობა გარკვეულ ეტაპზე რაღაც მიზეზით შეჩერდა. ხომ არ უკავშირდება ეს ვერსია იმ ლეგენდას, გავეთისა და ქარზამეთის ტაძრებს რომ უკავშირდება და ზევით მოგახსენეთ? ასეთ შემთხვევაში გაკვირვებას იწვევს ვახუშტი ბატონიშვილის ეს ფრაზა „არს მონასტერი გუმბათიანი და მდიდრად შენი“. სახელგანთქმულმა გეოგრაფმა ის თუ არ იცოდა, რომ ტაძარს გუმბათი კი არა, საერთოდ კედლების ბოლომდე აყვანა არ ეღირსა, მაშ მის მდიდრულ სახეზე საიდანღა უნდა ჰქონოდა მართებული ინფორმაცია?**

ტაძარს ჩანაფიქრში სამი კარი ჰქონია: სამხრეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის. დასავლეთისა და სამხრეთის პორტალები მოჩუქურთმებული ტიმპანებით ყოფილა დაგვირგვინებული. განსაკუთრებით თვალში საცემია სამხრეთის პორტალი. მისი წირთხლები გრეხილი და მარტივი ლილვებით, წნული ჩუქურთმებითა და ბურთებით ყოფილა შემკული. აქვე გდია ამ პორტალის ტიმპანიც, გდია გასაკვირად — გულაღმა... 3 მეტრის სიმაღლიდან გადავარდნილი უზარმაზარი ლოდი ამ მხრით არ უნდა დაცემულიყო. ნუთუ საგანგებოდ ჩამოიღეს? ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გადაღებულ ფოტოზე იგი წირთხლების თავზე, კუთვნილ ადგილზეა...

ტიმპანი ძალიან ლამაზია, 2 მეტრზე მეტი სიგრძის და ერთ მეტრამდე სიმაღლისაა. იგი შემოსაზღვრულია სადა და გრეხილი ლილვების ნახევარწრეებით, რომელთა შორის წნული ჩუქურთმებია. ტიმპანის შუაგულში ამოკვეთილია ბუნიკიან წრეში ჩასმული ტოლმკლავა ჯვარი, რომლის ფორმა ყვავილში გადადის. მსგავსი ჯვარი მანამდე არსად შემხვედრია. აქვეა ასომთავრული წარწერა: **„ქრისტე ღმერთო შეიწყალე გრიგოლ მაწყვერელი მთავარეპისკოპოსი, რომლისა ბრძანებითა აღეშენა წმიდა ესე ეკლესიაი“**. დიახ, აპირებდნენ აშენებას, წარწერაც გაამზადეს, მაგრამ ვერ ააშენეს. მორთულობის ხასიათით და ცალკეული დეტალებით აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე ძეგლს XIII საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებს. გამოდის, რომ ტაძრის მშენებლობა ხვარაზმელებისა და მონღოლების შემოსევით დაცარიელებული სახელმწიფო ხაზინას გამოუწვევია. მაგრამ ძეგლს სხვაც მრავალი უბედურება გარდახდენია. იტაცებდნენ ქვებს, სხვადასხვა მიზნით იყენებდნენ მის დარჩენილ კედლებს. ასე მაგალითად, XVIII საუკუნეში რუსეთ-თურქეთის ომის დროს, აქაურ გამაჰმადიანებულ ქართველობას ტაძარი საფარად გამოუყენებია, რუსის ჯარს კი თოფები და ზარბაზანი დაუშენია. ძეგლის კედლები ტყვიებითაა დაცხრილული.

ტაძრის გადაღების შემდეგ ოფიცერს ვთხოვ, რომ თურქეთის ტერიტორიის გადაღების უფლებაც მოგვცეს. იგი სიფრთხილეს გვირჩევს და ჩვენც ტაძრის კედელს ამოფარებულნი ვიღებთ გაღმა მხარეს. მდინარის გაღმა, სოფელი **თათალოა** (**ძველი თათალეთი**), საიდანაც თურქეთის ხელისუფლებამ მაჰმადიანი ქართველები აყარა და ქვეყნის შუაგულში გადაასახლა.

დიახ, აქ მთავრდება დღევანდელი საქართველო და მასთან ერთად, ჩვენი ჯავახეთში მოგზაურობაც.

ავტორის ფოტოები

გიორგიწმინდის ეკლესია

ჰოროსკოპი
15 ივლისი

ვერძი — დღეს იგრძნობთ, რომ მთელი სამყარო ყურადღებით გადეკვნებთ თვალს. შესაძლოა, ამან გაგაღიზიანოთ, მაგრამ აჯობებს, ნაკლები ყურადღება მიაქციოთ და მშვიდად აკეთოთ თქვენი საქმე.

კურო — კუროებისთვის დღეს მნიშვნელოვანია, ნებისმიერ ფასად თავი აარიდონ კონფლიქტს დღის დასაწყისში. თუ ამას შეძლებთ, დღის დარჩენილი მონაკვეთი მშვიდად ჩაივლის, სადამო კი შესანიშნავი იქნება თბილი ურთიერთობისთვის თქვენთვის ძვირფას ადამიანთან.

ტყუპები — ტყუპებს დღეს უამრავი სიურპრიზი ელით, მაგრამ ყურადღებით და სხვების ინტერესიც გაითვალისწინეთ. ნაკლებად აყევით ემოციებს, სადამო კი მშვიდ გარემოში გაატარეთ.

კირჩხიბი — სჯობს, დრო ახლობლებს დაუთმოთ და მხოლოდ ოჯახის საქმეებით დაკავდეთ, მთავარია, ამ დროს მოწეწილობამ არ შეგიპყროთ. სადამოს კი მოულოდნელი შეხვედრა გელით, რომელიც სასიამოვნო სიურპრიზს გპირდებათ.

ლომი — დრო მხოლოდ საკუთარ თავს დაუთმეთ და ნაკლებად იფიქრეთ, რა შეიძლება მოჰყვეს ამ დროებით სისუსტეს. დაისვენეთ, გაერთეთ... მხოლოდ ასე შეძლებთ ძალების აღდგენას.

ქალწული — დღეს შეხვედრების, დისკუსიების სიუხვე გელით. თქვენი სიტყვები თანამოსაუბრისთვის გზის მანათობელი ვარსკვლავი იქნება, რჩევებს გამოცდილი ადამიანებიც გაითვალისწინებენ, თუმცა ასეთ დროს ჯობს, თავი შეიკავოთ დამრიგებლური ტონისგან.

სასწორი — არ არის გამორიცხული, ახლა სასწორებს მთელი სამყარო მოსაწყენი და ნაცრისფერი მოეჩვენოთ. თუკი აჰვევით განცდებს, მთელ დღეს უფუნქციოდ და უღიმღამოდ გაატარებთ. ამიტომ გაიხსენეთ მხიარული ისტორიები, გაიმხნევეთ თავი ხუმრობით და სამყაროც თქვენს თვალში უკეთესობისკენ შეიცვლება.

ღრიანკალი — ამ ნიშნის წარმომადგენლებისგან გადამწყვეტ მოქმედებებს ელიან, მაგრამ არ ღირს რუტინის ამბარაზურას გადაეფაროთ, გამოიჩინეთ ცოტა ეშმაკობა და გამჭრიახობა, გარშემომყოფები გაგიგებენ და ადვილად შეეგუებიან თქვენს გადაწყვეტილებას.

მშვილდოსანი — დღეს შეგიძლიათ, წარმატებას მიაღწიოთ ნებისმიერ ცხოვრებისეულ სფეროში, მაგრამ ამისთვის ყურადღებით უნდა მოეკიდოთ ყველა წვრილმანს.

თხის რქა — დღეს ძალების მოზღვავებას იგრძნობთ და დიალოგში შეუდარებელი იქნებით. სურვილი გაგიჩნდებათ, კოლეგებსა და მეგობრებს დაეხმაროთ, სამუშაო გრაფიკი გაუუმჯობესოთ, დასახული მიზნის მისაღწევად სწორი გზა მიანიშნოთ.

მერწყული — მერწყულები ახლა საყვარელ ადამიანთან ურთიერთობების უფრო მეტად გამყარებით უნდა დაკავდნენ, თუმცა სასიყვარულო საქმეების მოგვარებაში, ყველაზე მეტად, საიმედო ადამიანის დელიკატური რჩევა დაგეხმარებათ, ვის აზრსაც არა მხოლოდ თქვენ, არამედ თქვენი პარტნიორიც პატივს სცემს.

თევზები — ამ ნიშნის წარმომადგენლებმა დღეს იმაზე უნდა იზრუნონ, რომ გვერდით კეთილი და მცოდნე ადამიანი ჰყავდეთ, რომელიც მზად იქნება, ნებისმიერ დროს, რთულ პერიოდში გვერდით დაუდგეს.

ასპირინი კიბოს რისკს ამცირებს

კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ასპირინს შეუძლია, მანდილოსნები კანის კიბოსგან დაიცვას. ბრიტანელი მეცნიერების განცხადებით, რაც უფრო ხშირად იღებთ ტკივილგამაყუჩებელ საშუალებას, მით მეტად იკლებს მელანომას განვითარების რისკი. სწავლულების მიერ 12 წლის განმავლობაში, 60 ათას სუსტი სქესის წარმომადგენელზე ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა, რომ ასპირინის რეგულარულ მომხმარებლებს ნაკლები შანსი აქვთ კანის კიბოს განვითარებისა. როგორ მოქმედებს ეს პრეპარატი მამაკაცებზე, უცნობია, რადგან გამოკვლევა ძლიერ სქესზე არ ჩატარებულა. ნისლიან ალბიონზე, ყოველწლიურად, დაახლოებით 13 ათას ადამიანს უსვამენ ავთვისებიანი მელანომას დიაგნოზს. აქედან 2200 იღუპება დაავადებისგან, რომელიც დიდი ალბათობით, გამოწვეულია პირდაპირი და ინტენსიური მზის აბაზანების მიღებითა და სოლარიუმის ხშირი სტუმრობით. ბრიტანელი მკვლევარების თქმით, ასპირინი ებრძვის ანთებით პროცესს და, შესაძლოა, სწორედ ამ მიზეზით მცირდება მელანომას განვითარების რისკიც.

პორნოფილმის ყურება აფეხმძიმებს?

35 წლის ბრიტანელი მანდილოსანი ამტკიცებს, რომ მისი ორსულობა 3D-ფორმატში პორნოფილმის ყურების „დამსახურებაა“. ქმარს გაშორებული ალექსის მელონი აცხადებს, რომ სექსუალური პარტნიორის არარსებობის კომპენსაციას ასეთი შინაარსის ფილმებით ცდილობდა და „სამედიცინო სასწაული“ შეემთხვა, რადგან წელიწადნახევარია, ინტიმური კავშირი არ ჰქონია, მედიკოსებმა კი მას ფეხმძიმობა დაუდგინეს. როგორც მელონი აცხადებს, 3D-ფორმატში ფილმის ყურება ძალიან რეალისტური იყო. სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ქალი ორსულობის მიზეზად 3D პორნოფილმს ასახელებს. რამდენიმე თვის წინ თეთრკანიანი ამერიკელ ქალბატონს შავკანიანი შვილი შეეძინა. ქალი ამტკიცებდა, რომ მისი ბავშვი მოზრდილებისთვის განკუთვნილი 3D-ფილმის ნახვის შედეგად ჩაისახა მაშინ, როცა მისი მეუღლე ერაყში მსახურობდა.

სინდისის ქენჯნისგან საპონი გიხსნით

თუკი მიიჩნევთ, რომ სინდისი სუფთა არ გაქვთ და არც ის იცით, ამას როგორ უშველოთ, შეგიძლიათ ჩერნოგორიაში, პატარა სოფელ მონტენეგროში დასასვენებლად გაემგზავროთ. ადგილობრივებზე უკეთ არავინ იცის სინდისის „გასუფთავების“ საუკეთესო მეთოდი. ისინი ტურისტებს ეკოლოგიურად სუფთა საპონს სთავაზობენ, რომელსაც ეწოდება: „საპონი სინდისის განსაწმენდად“. თუკი ეჭვი შეგეპარებათ ამ პროდუქციის სასწაულებრივ მოქმედებაში, მას საჩუქრად გაგატანენ. ისე კი, ამ სუვენირს მთელი დასახლება ყიდის, საპნის შემადგენლობასა და მისი გამოყენების მეთოდს კი საიდუმლოდ ინახავენ. აღსანიშნავია, რომ სოფელი მონტენეგრო უჩვეულო რეკლამებითაც გამოირჩევა — სარეკლამო ბილბორდების ნაცვლად, აქ საძოვარზე გასულ ძროხებს იყენებენ.

ჰოროსკოპი
16 ივლისი

ვერძი — დღეს ვითარება თქვენგან მოითხოვს სწრაფი და არაორდინარული გადაწყვეტილების მიღებას. ერთ წამს შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდით და ბედს უნდა შეურიგდეთ, მაგრამ სინამდვილეში, კარგად უნდა დაფიქრდეთ და სწორ გადაწყვეტილებასაც მიიღებთ.

კურო — დღეს, შესაძლოა, მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღოთ, რომელიც შედეგად, ცხოვრების ახალ ეტაპზე გადაგიყვანთ... მაგრამ ფრთხილად იყავით, ტექნიკის ან კავშირის საშუალების მწყობრიდან გამოსვლამ არ შეგაფერხოთ, ამიტომ ყველაფერი საგულდაგულოდ შეამოწმეთ.

ტყუპები — დღეს ტყუპების ინტერესი მიმართული იქნება ფინანსური პრობლემების მოგვარებისკენ. არ ინერვიულოთ, ეს დროებითი პრობლემაა, მთავარია, ნაკლებად ემოციურ ფონზე მიიღოთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

კირჩხიბი — ამ ნიშნის წარმომადგენლებს არ გურჩევენ, დღეს ეკონომია გასწიონ საკუთარ თავზე ან ახლობლებზე. ყველაფერი, რაშიც დღეს ფულს დახარჯავთ, სიამოვნებას მოგანიჭებთ, მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის — ფულადი ხარჯი შეგიძლიათ ერთგვარ სასარგებლო მსხვერპლად ჩათვალოთ.

ლომი — ლომებისთვის სასარგებლო იქნება ძველ მეგობრებთან შეხვედრა. მოგონებები განწყობას შეგირბილებთ და გარშემომყოფებისადმი უფრო მომთმენი გახდებით.

ქალწული — არ არის გამორიცხული, ქალწულები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას კონფლიქტში ჩაებან. შეიძლება არ მოგეწონოთ, როგორ მოგემსახურნენ ან გიპასუხეს მადაზიაში, ტრანსპორტში, მაგრამ შეეცადეთ, ნერვები მოთოკოთ.

სასწორი — დღეს აუცილებლად კარგ განწყობაზე უნდა იყოთ, რადგან შესაძლოა, ერთი ადამიანი გაგაცნონ, რომელიც თქვენზე წარუშლელ შთაბეჭდილებას მოახდენს. დიდია ალბათობა, რომ მას თქვენც მოეწონებით.

ღრიანკალი — დღეს სასიხარულო ამბავს შეიტყობთ ან სასარგებლო ინფორმაციას მიიღებთ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ იფიქრეთ, რომ ამ ინფორმაციას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. სულ მალე მას ღირსეულად დააფასებთ.

მშვილდოსანი — მშვილდოსნებს სპორტით დაკავება ახალი მწვერვალების დაპყრობისკენ უბიძგებს. თუ გაქვთ შესაძლებლობა, ითამაშეთ ფეხბურთი, ჩოგბურთი ან ბადმინტონი. თუმცა, არც უბრალო გულშემატკივრად ყოფნა იქნება ურიგო.

თხის რქა — ვარსკვლავები არ გირჩევენ დღის გატარებას დიდ კამპანიაში ან მასობრივ ღონისძიებაზე დასწრებას, რადგან იქ მხოლოდ მოიწყენთ. სჯობს, საკუთარ თავს ჩაუდრმავდეთ — იქ იმდენ საინტერესოს აღმოაჩენთ, ვერც კი წარმოიდგენდით. სასარგებლო იქნება, საკუთარი ქმედებების გაანალიზება და მედიტაცია.

მერწყული — მერწყულები შესაძლოა, დღეს უსიამოვნო ისტორიაში გაეხვნენ. იყავით ჩვეულებრივზე დაკვირვებული და ყურადღებიანი, არ არის გამორიცხული, რომ თქვენი მოტყუება მოისურვონ.

თევზები — თევზებს დღეს განწყობას ბავშვები აუმაღლებენ. შეეცადეთ, რაც შეიძლება მეტი დრო დაუთმოთ მათ, ზღაპრების ჯადოსნური სამყარო და მხიარული თამაშები გაგიტაცებთ და თავს კვლავ ბავშვად იგრძნობთ. ამით თქვენი ენერგიაც განახლდება. გახდით პატარებისთვის კეთილი ჯადოქარი ან ზღაპრული ფერია.

სუდოკუ

ადვილი

				1	3			2
7						3		
		1	7	6				
	9			8		6		4
	8	5				2	3	
2		3		5			9	
				7	5	4		
		2						8
4			9	2				

სტანდარტი

					4	1		8
				9			5	3
			8		5			4
		2	6		9	3		
	4						9	
		8	1		2	6		
2			5		8			
4	3			2				
7		5	4					

რთული

		6					9	1
		4		7	9			
	9	3					7	
			1		7			
6			3	9	2			8
			8		6			
	3					7	5	
			9	1		4		
5	4					2		

ექსპერტი

				6				
6			1	7				3
	2		3			4	7	
7		9	8					2
	3	2				6	8	
8					2	1		7
	8	6			7		3	
1				8	3			9
				2				

ღვინო კოკა-კოლას გემოთი

ისეთი სიახლე, როგორიც ღვინოა პოპულარული კოკა-კოლას გემოთი, ალბათ, სენსაციად უნდა იქცეს, თუმცა დახვეწილი, არომატული ღვინოების მოყვარულებს ამ ამბით ნამდვილად ვერ გაახარებ. ახალი სასმელის მწარმოებლებმა გადაწყვიტეს, შოკში არ ჩაეგდოთ მომხმარებელი და ღვინო, კოკა-კოლას ბოთლის ნაცვლად, საკმაოდ მიმზიდველ ბოთლში ჩამოასხეს წარწერით Rouge Sucette, რაც „წითელ შაქარყინულს“ ნიშნავს. ახალი ღვინო არომატიზებული სასმელია, რომელიც „ჩუპა-ჩუპსის“ გემოს უფრო მოგაგონებთ. მწარმოებლების თქმით, მასში 75% ყურძნის წვენია, დანარჩენი კი წყალი, შაქარი და კოლას არომატიზატორი, დაბალია ალკოჰოლის შემცველობაც, რადგან ღვინოში წყალი ურევია, ეგზოტიკის მოყვარულებს ერთი ბოთლი „წითელი შაქარყინული“ 2,95 ევრო დაუჯდებათ და ეს სიახლე კარგი ღვინის დამფასებლებს არა, მაგრამ კოკა-კოლას მოყვარულებს ნამდვილად გაახარებს.

ვიტამინების კომპლექსები არაეფექტურია?



რამდენიმე ხნის წინ მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ მულტივიტამინურ კომპლექსებს ადამიანის ჯანმრთელობისთვის რეალური სარგებელი არ მოაქვს. თუმცა, მილიონობით ადამიანი მაინც ჯიუტად აგრძელებს მათ მოხმარებას. სწავლულები შეეცადნენ, ეს ფენომენი აეხსნათ. კვლევის ავტორების განცხადებით, ბევრი ადამიანი იმის გამო აგრძელებს ვიტამინების კომპლექსის მიღებას, რომ დარწმუნებულია, ის მათ ჯანმრთელობას უფრო გაამყარებს. სპეციალისტები კი ამ მოსაზრებას არ აღიარებენ. გარდა ამისა, ხალხი მულტივიტამინებს საკუთარი სურვილით ირჩევს და არა ექიმის რეკომენდაციით. ბოლო გამოკვლევაში, რომელშიც 12 ათასი ადამიანი მონაწილეობდა, მათგან 45% დარწმუნებული იყო, რომ მულტივიტამინები მათ ჯანმრთელობას წაადგებოდა, 33% ფიქრობდა, რომ ვიტამინების კომპლექსი შეუნარჩუნებდათ ჯანმრთელობას, 23% კი ვიტამინებს ექიმის რჩევით იღებდა. ზოგიერთი მეცნიერიც ფიქრობს, რომ მულტივიტამინების ხანგრძლივი მიღება სიმსივნის წარმოშობის რისკს ამცირებს. ისე კი, ნებისმიერ შემთხვევაში, ხელოვნურად შექმნილი ვიტამინები ვერასდროს შეცვლის იმას, რასაც ადამიანი ნატურალური პროდუქტებისგან იღებს.

მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით სიარულში კოლაგენის ინექცია დაგეხმარებათ

ბოლო დროს საკმაო პოპულარობა მოიპოვა ახალმა ბიუთი-ტრენდმა, რაც ტერფში კოლაგენის ინექციის შეყვანას გულისხმობს; ეს მანდილოსნებს საშუალებას აძლევს, მთელ დღეს მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით იარონ და ფეხი არ დაეღალოთ. უნდა ითქვას, რომ თანამედროვე კოსმეტოლოგია მზადაა, გარეგნობასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემა მოაგვაროს. ამ სიახლის ავტორები ამერიკელები არიან — მათ ტერფში (ქუსლზე, ფეხის თითების ბალიშებზე) კოლაგენი შეჰყავთ და ასე „შპილკებზე“ სიარული გაცილებით მარტივდება. ინექციის ამ სახეობას Loub Job უწოდეს, ფეხსაცმლის ცნობილი დიზაინერის, კრისტიან ლუბუტენის პატივსაცემად. ეს უკანასკნელი ყოველ წელს, მოდის მიმდევრებს სულ უფრო მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ახალ-ახალ მოდელებს სთავაზობს. ამერიკაში Loub Job-ის გამოყენება გასული წლიდან დაიწყო და მისი პოპულარობა სულ უფრო იზრდება, წელს ინექციების მსურველი მანდილოსნების რიცხვმა 21%-ით იმატა. შესაძლოა, ეს იმ ფაქტს უკავშირდებოდეს, რომ პროცედურა თითქმის უმტკივნეულოა, მხოლოდ 20 წუთს გრძელდება, ეფექტი ნახევარ წელიწადს ძლებს, ღირებულება კი, 320 გირვანქა სტერლინგია... თუმცა მედიკოსები საკმაოდ კრიტიკულად არიან განწყობილნი ამ სიახლის მიმართ. მათი თქმით, მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის დიდი ხნით ტარება სისხლძარღვების პრობლემას იწვევს და ქალებს ადრეულ ასაკშივე ემუქრებათ ართროზი და ვარიკოზი. ასე რომ, მშვენიერი სქესის გადასაწყვეტია, სილამაზეს ჯანმრთელობას შეწირავენ თუ არა.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

8	1	9	7	6	4	5	3	2
7	6	5	3	2	1	9	8	4
4	3	2	5	9	8	7	1	6
9	8	7	6	1	3	4	2	5
6	5	1	4	8	2	3	9	7
3	2	4	9	7	5	1	6	8
5	4	8	2	3	9	6	7	1
1	9	6	8	5	7	2	4	3
2	7	3	1	4	6	8	5	9

სტანდარტი

9	8	3	7	5	4	2	1	6
2	7	5	9	1	6	3	8	4
6	4	1	8	3	2	9	7	5
1	6	8	4	2	3	5	9	7
3	5	9	1	8	7	6	4	2
7	2	4	6	9	5	1	3	8
8	3	7	5	6	1	4	2	9
5	9	2	3	4	8	7	6	1
4	1	6	2	7	9	8	5	3

რთული

7	4	3	2	6	5	1	9	8
1	2	9	8	3	7	4	5	6
8	6	5	1	4	9	7	2	3
2	1	6	5	9	8	3	7	4
9	3	7	4	2	1	6	8	5
5	8	4	3	7	6	2	1	9
6	9	2	7	8	4	5	3	1
4	7	1	9	5	3	8	6	2
3	5	8	6	1	2	9	4	7

ექსპერტი

7	2	6	5	1	4	9	8	3
1	9	5	3	2	8	4	7	6
8	4	3	9	7	6	5	2	1
9	3	2	4	8	1	7	6	5
6	5	1	7	3	2	8	9	4
4	8	7	6	5	9	3	1	2
2	1	9	8	4	5	6	3	7
5	7	8	2	6	3	1	4	9
3	6	4	1	9	7	2	5	8

მე-16 გვერდი: 1. მარწყვი; 2. ბროწეული; 3. რეალია; 4. წინამო; 5. უკულელე; 6. მაატი; 7. რუპია; 8. ყვითელი; 9. იდიოტია; 10. მარნეული; 11. ანტვერპენი; 12. ბილანი; 13. გავა; 14. პარპრიზი; 15. „ლაქა“; 16. მონტესუმა; 17. ემალი; 18. დიამბეგი; 19. ირიბი; 20. ალიონა; 21. მექანიკა; 22. აბრეშუმი; 23. ტყემალი; 24. აჰასფერი; 25. ლევ; 26. „საირმე“; 27. ნოე; 28. ასო; 29. იურთი; 30. რობინ ჰუდი; 31. ემუ; 32. ტბა; 33. კარტინგი; 34. ჰევეა; 35. ნო; 36. არაბია; 37. ბულა; 38. რეტრო; 39. როი; 40. ნიხრი; 41. ყბა; 42. ადათი; 43. სემ; 44. ბანა; 45. სარდიონი; 46. ესე; 47. კეი; 48. ნიასა; 49. შუბი; 50. იო; 51. მაკელელე; 52. „ლელა“; 53. შუმანი; 54. ნესესერი; 55. მიდი; 56. დათა; 57. მანგო; 58. აიეტი; 59. მაო; 60. დეჰყანი; 61. ინდი; 62. აის.

ქალი ბედნიერებისგან გარდაიცვალა

ბრიტანეთის მცხოვრებნი შოკში ჩავარდნენ მომხდარი ტრაგედიით, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ მოხდა. 30 წლის ქალბატონი, სარა ბრედბერი ათი წლის განმავლობაში ცდილობდა, ბავშვი გაეჩინა. რვა წარუმატებელი ორსულობის შემდეგ, როგორც იქნა, დედა გახდა, მაგრამ საუბედუროდ, პატარას სიყვარულით ტკბობა არ ეღირსა. ბავშვი ნაადრევად გაჩნდა, თუმცა, რთული მდგომარეობის მიუხედავად, მედიკოსებმა შეძლეს დედა-შვილის გადარჩენა. ამ ამბით გახარებული სარა ეკლესიაში წავიდა და უფალს მადლობა გადაუხადა, შვილი რომ აჩუქა. სამწუხაროდ, ბედნიერი დედა, მომეტებული ემოციებისგან, იქვე, ტაძარში გარდაიცვალა.



1. ჩილეს დედაქალაქი
2. მარჯნის კუნძული
3. მდინარე რომში
4. გამოუწვავი აგური
5. ქრისტეს თორმეტ მოციქულთაგანი
6. თითბრის როდინი
7. ვიტამინი 1
8. სამკურნალო ბალახოვანი მცენარე
9. წამლის ბურთულა
10. სასოფლო-სამეურნეო მანქანა
11. მანათობელი მწერი
12. ბუდისტმონაზონი
13. ყაზახეთის დედაქალაქი
14. ფეხბურთის უგვირგვინო მეფე
15. მუსიკ. გამის III ნოტი
16. რანჩოს მეპატრონე
17. ოიდიპოსის მამა
18. ეკვადორის დედაქალაქი
19. ფუტკრის წებო
20. იტალიის კუნძული
21. სპარსეთის თანამედროვე სახელწოდება
22. ზეესის ფარი
23. უმაღლესი წოდება საზღვაო ფლოტში
24. ანარქისტი „ლაზარეში“
25. მომწამლავი ნივთიერება
26. იტალ. მსახიობი და მომღერალი
27. პარკოსანი მცენარე
28. მეტრის მეათედი
29. ბიბლიური ისმაელის დედა
30. ქართული ფოლკლორული ჯგუფი
31. პუჩინის ოპერა „...-...-სანი“
32. ამერ. მწერალი ... შელდონი
33. ეკლიანი ბალახი
34. საფეიქრო ბანანი
35. დამხმარე თეორემა
36. სოფელი ყვარლის რაიონში
37. იგივეა, რაც ჩრდილი
38. არეულობა, აურზაური
39. ცხრასტრიქონიანი ლექსი
40. ოქროს ვაშლების მცველი ურჩხული
41. ოთახის დეკორატ. მცენარე
42. მზის საგალობელი რაჭაში
43. ნად. ქალღმერთი ქართულ მითოლოგ.
44. იუდეას მეფე
45. მწერალი ... იოსელიანი
46. აბესალომის მამა ოპერაში „აბე-საღომ და ეთერი“
47. ჯონ ლენონის ქვრივი იოკო ...
48. სერ-ვანტესის „... კიხოტი“
49. ტოკიოს ძველი სახელწოდება
50. არქიტექტურული სტილი
51. სამეგრ. ცეკვების სტუდია თბილისში
52. იტალ. მწერალი უმბერტო ...
53. სამაგიდო თამაში
54. ქალაქი რუმინეთში
55. მუს. ბგერის გრაფიკული ნიშანი
56. სამი წერტილი კამათელზე
57. სოფელი ყაზბეგის რაიონში
58. წითელი ფერის ძვირფასი ქვა
59. ქართული ლიტერატ. პრემია
60. იგივეა, რაც ნაცია
61. ქსპნ. ჩოგბურთელი
62. წყლის უზარმაზარი სივრცე
63. შალაშინის სახეობა
64. ძაღლის ჯიში
65. სამეფო კოლეჯი ინგლისში

შენდემა ყოველადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატოპედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

ღამით მუშაობა უნაყოფობას იწვევს

ბრიტანელმა სწავლულებმა ღამის ცვლაში ქალბატონების მუშაობასა და შობადობასთან დაკავშირებულ პრობლემებს შორის კავშირი აღმოაჩინეს. საუთჰემპტონის უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ როცა სუსტი სქესის წარმომადგენლები არანორმირებულად მუშაობენ საღამოს და ღამის საათებში, რეპროდუქციული ფუნქციების კლების რისკი 80%-ით იზრდება.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.